ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 2020 №215 (8479) ფასი: 60 თეთრი

სპეცოპერაცია თბილისში – პროკურატურამ რამდენიმე ობიექტიდან დიდი ფული ამოიღო

გვ.5



გვ.5

სპეცრაზმი კომპანია „ბროლის“ ოფისში შევიდა

„ოცნებამ“ შეიძლება პრემიერ-მინისტრის პოსტი დათმოს

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ისე ჩანს, რომ რეალურად საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და არა საპარლამენტო“



„ევროპულ საქართველოს“ ახალი ნიშის დაკავება უნდა“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ევროპული საქართველოს“ კამპანია „ოცნებას“ საქმეს უადვილებს, ეს გააცნობიერა ხოშტარიამ“

დავით ხიდაშელმა პრესკონფერენცია გააუქმა

გვ.2

„ერთ-ერთი ტელეარხის შეფი დაპატიმრებით დამემუქრა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „დავითგარეჯის საქმეზე კიდევ ბევრი უნდა დაიჭიროონ“

„მარტო მელაშვილსა და ილიჩოვაზე ჯოხი არ უნდა გადატყდეს“

გვ.3

გიგა ბუკია: „სახელმწიფოს ღალატის მუხლის აღდგენა მარტივი არ არის“

„ევროპული საქართველო“ და ნაცმოძრაობა ამ მომენტში ერთმანეთის კონკურენტები არიან, არჩევნების შემდეგ კი ერთად შეიკვრებიან“

გვ.4

გვ.3

ზურაბ ნოღაიდელი: „ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოძიებისთვის კარგი დრო არ არსებობს“

გვ.4

ამირან სალუქვაძე: „13 წელია, საზღვრის დამდგენ სახელმწიფო კომისიას არაფერი გაუკეთებია“

ლევან კობერიძე: „რეიტინგში ნაცმოძრაობასაც ვასწრებთ“



გვ.2

ISSN 1987-9385

5 „კედელი გაანგრიეს და ისე შევიდნენ“ გარდაბანში მაღაზია გაქურდეს

6 ნიჟნი ნოვგოროდში 18 წლის მამაკაცმა ავტობუსი დაცხრილა

5 7 მილიონი ლარის მითვისებისთვის 1 პირი დააკავეს

6 ბელარუსის შსს: „ჩვენ ვიხმართ იარაღს!“

„ევროპულ საქართველოს“ ახალი ნიშის დაკავება უნდა“

ნიკა ჩიტაძე: „ევროპული საქართველოს“ კამპანია „ოცნებას“ საქმეს უადვილებს, ეს გააცნობიერა ხოშტარიამ“

იაგო ნაცვლიშვილი

სწორი ნაბიჯი გადადგა თუ არა „ლელომ“, როდესაც ჩრდილოვანი კაბინეტი დაასახელა? ხომ არ უნდა გააკეთოს იგივე სხვა პარტიებმაც, მათ შორის მთავარმა ოპოზიციურმა ერთობამ — „ძალა ერთობაშია“-მ, რას ემსახურება „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანია — არც ბიძინა და არც მიშა და მოუტანს თუ არა შედეგს? მამუკა მდინარაძის განცხადება, რომ კორონავირუსს ოპოზიცია ავრცელებს, უნდა გავიგოთ, როგორც საარჩევნო კამპანიის ნაწილად თუ მზადებად, რომ არჩევნებისთვის კიდევ იქნება შეზღუდვები და ჩაკეტვები? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს:

— „ლელომ“ წარმოადგინა ჩრდილოვანი კაბინეტი. სწორი გადაწყვეტილებაა ეს თუ საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე არაფრის მომცემია?

— მაინც მნიშვნელოვანია კონკრეტული ჩრდილოვანი კაბინეტის წარდგენა, რაც ხდება კიდეც დასავლეთის ქვეყნებში. იქ მიღებულია ალტერნატიული მთავრობის წარდგენა. ან არსებობს უპორტფელო მინისტრის ინსტიტუტი. ამიტომაც, მგონია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით „ლელო“ ამტკიცებს იმას, რომ სფეროების მიხედვით კომპეტენტური ადამიანები ჰყავს შერჩეული.

თქვენ კარგად გახსოვთ 2012 წელი, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მას არავითარი ჩრდილოვანი კაბინეტი არ ჰქონდა წარმოდგენილი და დიდი ხანი მიმდინარეობდა განხილვა, ვინ რომელ პოსტს დაიკავებდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ „ოცნება“ გამარჯვებას არც მოელოდა.

— მზად არ შეხვდა?

— ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანი გადაუწყვეტელი იყო კონკრეტული კანდიდატურები. მაგალითად, კახა კალაძეზე თავიდან აპირებდნენ, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო საბოლოოდ ენერგეტიკის მინისტრი გახდა.

— თავიდან იმაზეც საუბრობდნენ, რომ კალაძე სპორტის მინისტრი იქნებოდა.

— მით უმეტეს. დასავლეთში საპარლამენტო არჩევნების წინ, კონკრეტული პარტიები წარადგენენ ჩრდილოვან კაბინეტს, რათა ადამიანებმა იცოდნენ, ვინ შეიძლება დაიკავოს ამა თუ იმ მინისტრის პოსტი.

— კარგი ხომ არ იქნება, რომ იგივე „ძალა ერთობაშია“-მაც დასახელოს, რომელსაც ოპოზიციიდან ყველაზე მაღალი რეიტინგიც აქვს და პრეტენზიაც, რომ ის წამყვანი ძალაა?

— ზუსტად. რადგან „ლელომ“ წარმოადგინა, გეთანხმებით, რომ კარგი იქნება თუ „ძალა ერთობაშია“-ც წარმოადგენს. თუმცა, შესაძლებელია გარკვეული ცვლილებები და კორექტირება მოხდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად მოხდება მინისტრებად ამ კანდიდატების დანიშვნა, თუ ვთქვათ, „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდება ხელისუფლებაში. ამით ოპოზიციას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის მზად ხვდება არჩევნებს. ჩვენთან ყველაფერი ასოცირდება ერთ პიროვნებასთან მმართველი პარტიის მხრიდანაც და ოპოზიციიდანაც. ხშირად გაისმის ბიძინა და მიშა.

— ანუ, არა საგნობრივ დისკუსიაში გადადის?

— დიახ, იდეების ჭიდილი უნდა არსებობდეს. თემატური საკითხები უნდა განიხილებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დებატების კულტურაც არ გვაქვს. არამარტო დებატების დროს. პარტიას შეუძლია საზოგადოებას წარუდგინოს საკუთარი ხედვა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობს ბელადომანიის დასრულებას. დღეს ოპოზიცია მიშასთან ასოცირდება, ხელისუფლება კი ბიძინასთან. მაშინ როდესაც, კონკრეტულ სფეროებთან უნდა იყოს ასოცირებული.

— „ევროპული საქართველო“ ამ სივრცის — მიშა-ბიძინას გარღვევას ეცადა უცნაური ფორმით, რომელ კამპანიასაც გაემიჯნა ელენე ხოშტარია. რამდენად სწორად მოიქცა პარტია?

— ამას აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩემი აზრით, „ევროპული საქართველოს“ მიზანი, რომელიც გიგი უგულავას ვიდეომიმართვის სახით გაჟღერდა. მიზანია ის, რომ „ევროპულ საქართველოს“ აქვს დაბალი რეიტინგი, რაც 5-6%-ის ფარგლებშია და იგივე „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს 3-4-ჯერ ჩამორჩება. ის ასევე აკვირდება რეიტინგებს სხვა მიმართულებითაც. დაინახა, რომ 30-დან 60%-მდე ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცემენ ხმას. საკმაოდ დიდი რაოდენობაა პოტენციური ამომრჩევლის.

რატომ შეიძლება იმყოფებოდეს ამომრჩეველი მერყევ მდგომარეობაში? პირველი ალბათ იმიტომ, რომ მას არ მოსწონს „ქართული ოცნება“ ან ბიძინა, ვინაიდან მმართველი პარტია ერთ ადამიანთან არის ასოცირებული. სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. მაგრამ ამომრჩეველს ასევე არ სურს ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება. ანუ მოსახლეობის უმეტესობას საქართველოში არც „ოცნება“ არ უნდა და არც „ნაციონალური მოძრაობა“.

შესაძლებელია, რომ „ევროპულ საქართველოს“ ახალი ნიშის დაკავება უნდა. ისინი მკვეთრად ემიჯნებიან ბიძინას და მის პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს სააკაშვილის უგულებელყოფით ემიჯნებიან საკუთარ წარსულს. ისინი ამ გზავნილს აკეთებენ, რომ ვემიჯნებით წარსულს იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზეო. ეს განკუთვნილია მერყევი ამომრჩევლის მოსაზიდად.

მე მაინც მგონია, რომ ოპოზიციისთვის ეს იქნება გარკვეული პრობლემა. სიტყვაზე, ელენე ხოშტარიას, რომელიც ვაკის რაიონში ოპოზიციის საერთო კანდიდატია, შესაძლებელია მას არ მისცენ ხმა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა. ეს გაუადვილებს საქმეს „ოცნების“ კანდიდატს, რათა პირველივე ტურში დაამარცხოს.

„მდინარაძის განცხადება, რომ კოვიდს ოპოზიცია ავრცელებს, შავი პიარის ნაწილია, ამომრჩეველზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ“

— ეს გააცნობიერა ელენე ხოშტარიამ და ამ განცხადებით ამიტომ გაემიჯნა პარტიის კამპანიას?

— ზუსტად მაგის თქმა მინდოდა, რომ არ არის გამორიცხული, ხოშტარიამ ეს გააცნობიერა. მით უმეტეს, რომ ვაკეში „ოცნების“ რეიტინგი შედარებით მაღალია. მას სჭირდება როგორც „ნაცმოძრაობის“, ისე სხვა ოპოზიციური პარტიების ხმები. ამიტომ, მისი განცხადება სწორი იყო.

— „ევროპული საქართველოს“ კამპანიას რა მინუსები აქვს ამის გარდა? შესაძლოა ამან „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშაოს?

— მინუსია ისიც, რომ ადამიანები ხედავენ, ოპოზიციაში განხეთქილებაა და ხედავენ, რომ მე კი არ მომწონს „ოცნება“, მაგრამ ოპოზიცია, რომელიც ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა და უკვე თანამდებობებს ეომებიან ერთმანეთს, რა გარანტია მაქვს, რომ ვთქვათ, ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდება თუ ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში. შესაძლოა დიდი ნაწილი არა, მაგრამ მცირე რაოდენობა დაკარგოს.

მეორეა ის, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ საერთო კანდიდატებზე ვერ შეთანხმდნენ თბილისს გარეთ, რასაც ერთმანეთს აბრალებენ. მეორეა ის, რომ ვთქვათ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი გადავიდა მეორე ტურში, სადაც „ოცნებას“ უნდა დაუპირისპირდეს, „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერები მას დაუჭერენ მხარს? ანუ, ეს საქმეს უადვილებს „ქართულ ოცნებას“ როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ ნაწილში.

— ეს ორივე საკითხი — „ევროპული საქართველოს“ კამპანიის პლუსები და მინუსები სასწორის პინაზე რომ დავდოთ, რომელი გადაწონის?

— მე მაინც მგონია, რომ ამ კამპანიას უარყოფითი ეფექტის მოტანა უფრო შეუძლია, ვიდრე დადებითის.

შესაძლოა „ევროპულ საქართველოს“ კითხვა იმაზეც დაუსვან, რომ ისინი 2016 წელს პარლამენტში მოხვდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ სიით. მათი პარლამენტში შესვლა დიდწილად სააკაშვილის ფაქტორზე იყო დამოკიდებული. ამის მერე გაემიჯნენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და შექმნეს პარტია „ევროპული საქართველო“. შეიძლება ჰკითხონ მათ, რომ თუ „ნაციონალური მოძრაობა“ არ მოსწონდათ და ემიჯნებოდნენ, მაშინ ცალკე მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. არა ისე, რომ პარლამენტში შევიდნენ და ადგილები გაინაღდეს და შემდგომში გაემიჯნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. სამწუხაროა, რომ ურთიერთკომპრომისი ვერ შედგა არჩევნებთან დაკავშირებით. ალბათ მაშინ იყო საჭირო ერთიანობა, როდესაც „ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო. მართალია უსამართლოდ არსებული სისტემიდან გამომდინარე, მაგრამ რეალობაა, რომ მიიღო.

— პანდემიასთან დაკავშირებით ამირან გამყრელიძემ პოლიტიკოსებს მიმართა, რომ შეხვედრები ღია სივრცეში ჩაატარონ და პირბადეები გამოიყენონ. ამაზე მამუკა მდინარაძემ ხელი ოპოზიციისკენ გაიშვირა, რომ ისინი ავრცელებენ ვირუსს. ეს ხომ არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ თუ „ოცნება“ საჭიროებას დაინახავს, შეზღუდვებს დაუწესებს, რათა ოპოზიციას მეტი არეალი არ მისცეს?

— არა. შეზღუდვები არა მგონია, რომ დაწესდეს. მე ეს მგონია საინფორმაციო ომის შემადგენელ ნაწილად. მდინარაძის და „ოცნების“ მიზანია, რომ შავი ტექნოლოგიების ამოქმედებით და პრაქტიკაში დანერგვით მოხდეს სხვადასხვა ოპოზიციური ძალის დისკრედიტაცია, თითქოს ისინი ავრცელებენ კორონავირუსს და ა. შ. ისევე, როგორც დავითგარეჯთან დაკავშირებით მიმდინარეობს ბინძური კამპანია. ეს მე მაინც შავი პიარტექნოლოგიების ნაწილი მგონია.

— იმუშავებს?

— ნაწილობრივ შესაძლოა იმუშაოს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ თავისი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს. აქედან გამომდინარე არა მგონია, რომ ამან რადიკალური ცვლილება მოახდინოს. თუმცა, „ოცნება“ ამ შავი პიარტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩეველზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ცდილობს.

დავით ხიდაშელმა პრესკონფერენცია გააუქმა

„ერთ-ერთი ტელეარხის შეფი დაპატიმრებით დამემუქრა“

ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა, რომელმაც ქართულ მხარეს დავითგარეჯის რუკების დედნები გადასცა, განცხადება გაავრცელა:

„თქვენ იცით, რომ მსურდა, მომეწვია პრესკონფერენცია, რათა ქართული მედიასაშუალებების სრულ სპექტრს შევხვედროდი და დამეკმაყოფილებინა მათი ინტერესი.

მეტიც, ერთ-ერთ აქტიურ ჟურნალისტს დავპირდი კიდეც, რომ პირველი კითხვის დასმის უფლება, ჩემს პრესკონფერენციაზე, პირადად მას ექნებოდა.

თუმცა, მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა — ჯერ საქართველოში არყოფნამ, ხოლო შემდეგ კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა პროტოკოლმა გარკვეული კორექტივები შეიტანა ჩემს გეგმებში, მაგრამ ესეც არ არის მთავარი.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში რა არ მოვისმინე საკუთარ თავზე სხვადასხვა ტელევიზიებიდან: რომ თურმე ვარ სამშობლოს მოღალატე და ოკუპანტი სახელმწიფოს ჯაშუში; რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოძიებული უმნიშვნელოვანესი კარტოგრაფიული მასალის საქართველოში დაბრუნება — თურმე ქვეყნის მტრობა ყოფილა.

საქმე მხოლოდ უაპელაციო ბრალდებებში, ცილისწამებასა და ენითაღუწერელ შეურაცხყოფებშიც არ არის, თუმცა, დამეთანხმებით, პოლიტიკიდან შორს მდგომი ადამიანისთვის და, განსაკუთრებით, მისი ოჯახისთვის, ესეც დიდი განსაცდელია.

გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ გაოგნებული ვარ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებით — აღნიშნული კარტოგრაფიული მასალა რომელიმე ხელისუფლებისთვის არ ჩამომიტანია. მე ჩემს სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მათ შორის იმათაც, ვინც თავს მესხმის, ის მტკიცებულებები დავუბრუნე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან მოლაპარაკებების დროს.

ნუთუ ქვეყნის სამსახური და მისი ინტერესების დაცვაში მოკრძალებული წვლილის შეტანა დანაშაულია?

როგორც ჩანს, ზოგიერთებისთვის მართლაც ასეა, რადგან ერთ-ერთი ტელევიზიის გენერალური დირექტორი პირდაპირ ეთერიდან დაპატიმრებითაც კი დამემუქრა.

ცხადია, რომ ამ კატეგორიის ხალხს კითხვებზე პასუხის მოსმენა საერთოდ არ სურთ. მეტიც, ჩემი გადასახედიდან ისინი უბრალოდ არ არიან მედიის წარმომადგენლები და მათთან ურთიერთობაში აზრს ვერ ვხედავ, რადგან არ ასრულებენ მედიის მთავარ — საზოგადოების ობიექტური ინფორმირების ფუნქციას.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, მათზე დრო საერთოდ აღარ დავხარჯო. ინტერვიუ მივეცი ერთ-ერთ არხს და ვეცადე საზოგადოებაში დაგროვილ ყველა კითხვაზე გამეცა ამომწურავი პასუხი. მეტ საჯარო კომუნიკაციას, ამ ეტაპზე, არ ვგეგმავ.

აქვე, მინდა ბოდიში მოვუხადო ყველა იმ მედიასაშუალების წარმომადგენელს, ვისაც არც ადამიანური და არც პროფესიული ეთიკა არ დაურღვევია და გულწრფელად სურდა ჩემთან შეხვედრა. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში, თუ ამის აუცილებლობა დადგა, გაფართოებულ ფორმატში შევხვდე მათ წარმომადგენლებს.“

ლევან კობერიძე:

„რეიტინგში ნაცმოძრაობასაც ვასწრებთ“

— ორი კვლევის მიხედვით, რეიტინგში უკვე „ნაციონალურ მოძრაობასაც“ ვუსწრებთ. ვცდილობთ, დავიკავოთ მთავარი ოპოზიციური პარტიის ნიშა ქვეყანაში.

ამის შესახებ „ლელო საქართველოსთვის“ ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლევან კობერიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

როგორც კობერიძემ აღნიშნა, „ლელოს“ მკაფიო გეგმა აქვს.

— ჩვენ აუცილებლად მოვალთ და დამთავრდება ე.წ. შავი ჯიპების ეპოქა. უკვე ორნიშნა ძალიან მკაფიო რეიტინგი გვაქვს. სამეულში უკვე მკაფიო ადგილი გვიკავია. ორი კვლევის მიხედვით კი, რეიტინგში „ნაციონალურ მოძრაობასაც“ ვუსწრებთ. ვცდილობთ, რომ დავიკავოთ მთავარი ოპოზიციური პარტიის ნიშა ქვეყანაში.

ჩვენ ძალიან მკაფიო გეგმა გვაქვს და ყველაფერი ციფრებშია გაწერილი, ასევე ჩვენი მიზანია, მივიღოთ მინიმუმ გაორმაგებული ეკონომიკა. ჩვენ ის გუნდი ვართ, რომელიც არა მხოლოდ ჯანდაცვის გაძლიერებაზე, არამედ სისტემაზე ვფიქრობთ და ეს ყველაფერი აღნიშნულია „მარშალის გეგმაში, — განაცხადა კობერიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ შეიძლება პრემიერ-მინისტრის პოსტი დათმოს

ვახტანგ ძაბირაძე: „ისე ჩანს, რომ რეალურად საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და არა საპარლამენტო“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლელომ“ პრემიერობის კანდიდატად მამუკა ხაზარაძე დაასახელა. იმ შემთხვევაში, თუ კოალიციური მთავრობა საჭირო გახდება, რამდენად იქნება ხაზარაძე ოპოზიციისთვის მისაღები, შეთანხმებადი კანდიდატი?

– სრულიად ბუნებრივია, რომ „ლელომ“ ხაზარაძე დაასახელა კანდიდატად და ეს არავითარი მოულოდნელობა არ ყოფილა. საპარლამენტო მმართველობის დროს, როგორც წესი, პარტიის ლიდერი არის პრემიერობის კანდიდატი. თითქმის მთელი ცივილიზებული მსოფლიო ამაზე შეთანხმებულია.

რაც შეეხება რამდენად მისაღები იქნება, რთული წარმოსადგენია, რომ შეთანხმება ადვილი იყოს. თუმცა, ცხადია, კონფიგურაცია, აღებული მაჩვენებლები და ბევრი სხვა ფაქტორიც იქნება მნიშვნელოვანი. ერთი სიტყვით, ვინ იქნება წამყვანი პარტია კოალიციაში, ეს იქნება განმსაზღვრელი. ეს კი აღებული მანდატების რაოდენობით განისაზღვრება. სხვაგვარად კოალიციები არ ყალიბდება. არის შემთხვევები, როდესაც ორი ძლიერი პარტია არის კოალიციაში, მაგრამ პრემიერობის კანდიდატია როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მიუღებელი. ამ შემთხვევაში მესამე ძალიდან ხდება კანდიდატის არჩევა.

– ჩვენ შემთხვევაში ეს რამდენად წარმოგიდგენიათ?

– ძალიან რთულად. თუმცა, ცხადია, ყველაფერს არჩევნების შედეგები გამოაჩენს. თუ საჭირო გახდება კოალიციის ფორმირება, ძალიან დიდი მნიშვნელობა ამ პოლიტიკურ ძალებს შორის მოლაპარაკებებს ექნება.

– სააკაშვილზე მოლაპარაკებები რამდენად რთული შეიძლება იყოს? ოპოზიციის თითქმის სრული შემადგენლობის პოზიცია ამაზე ცნობილია.

– თუ სააკაშვილს ეყოფა თავისი მანდატების რაოდენობა ანუ 76 მანდატი ექნება, მაშინ, რა თქმა უნდა, პრემიერი გახდება. თუ არ ექნება ეს რაოდენობა და ვერც ვერავის გადაბირებას შეძლებს და ფართო კოალიციის შეთანხმება გახდება საჭირო, მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას არჩევანის გაკეთება მოუწევს – წავიდეს რიგგარეშე არჩევნებზე ან დათმოს სააკაშვილის პრემიერობა.

თითქოს, ისე ჩანს, რომ რეალურად საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და არა საპარლამენტო.

– რატომ?

– რადგან მთელი აქცენტი პრემიერზე კეთდება. თუ „ქართულ ოცნებას“ არ ექნება საკმარისი მანდატები, მაგრამ მას ექნება გარკვეული ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი, არ გამოვრიცხავ, პრემიერის თანამდებობა დათმოს.

– დათმოს, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურორის, ძალოვნების ხარჯზე?

– დიახ. საპარლამენტო მმართველობა ამიტომ არის საინტერესო და კარგი, რომ ასეთი ვარიანტები შეიძლება გათამაშდეს ურთიერთდაბალანსების ხარჯზე. ყველა პოლიტიკური ძალა აწონის თავის შესაძლებლობას. რა ურჩევნია, რიგგარეშე არჩევნები თუ მოლაპარაკებებზე დაჯდომა და კომპრომისის ძიება?!

რიგგარეშე არჩევნებიც ხომ ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული. აწყობს კი ყველას?! თუ პარლამენტმა ვერ შეძლო ახალი მთავრობის დამტკიცება, კონსტიტუციით ახალი არჩევნები ინიშნება ქვეყანაში.

– ახალ არჩევნებზე წასვლაზე შეიძლება ოპოზიცია არც დათანხმდეს?

– დიახ. ამოწურული რესურსების პირობებში ახალი არჩევნები ძალიან რთული იქნება. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებებს და შეთანხმებას ალტერნატივა არ ექნება. თუმცა, რეალურ სურათს, თუ როგორი ხელისუფლების ფორმირება იქნება შესაძლებელი, ამას მხოლოდ არჩევნები განსაზღვრავს. დღეს, ეს მხოლოდ თეორიებია.

– კახი კალაძის განცხადება, რომ მორიგი გამარჯვებისთვის ემზადება „ქართული ოცნება“, ისე, რომ არავის დახმარება არ დასჭირდება მთავრობის შესაქმნელად, ეს თეორიაა თუ რეალობა?

– სამწუხაროდ, პროცესი ისე მიდის, რომ კალაძის ეს ნათქვამი, შეიძლება რეალობასთან ძალიან ახლოს იყოს. დიდი ალბათობით თუ პროცესი ასე გაგრძელდა, „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არ დასჭირდება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, ეს ცუდი იქნება, მაგრამ პროცესია ასეთი. საერთოდ არ იგრძნობა, რომ არჩევნებია რამდენიმე კვირაში. თუ ტელევიზორს გავთიშავთ, მით უფრო შესამჩნევი გახდება ეს დამოკიდებულება. ხალხი არც არჩევნებზე საუბრობს და არც მის მოსალოდნელ შედეგებზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სადღაც კი ტარდება არჩევნები, მაგრამ კაცმა არ იცის, სად?! ასეთ ვითარებაში მმართველ ძალას ძალიან დიდი ფორა აქვს. ცალკე საკითხია ის, რაც ოპოზიციაში ხდება. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, სააკაშვილის კარტი აღარ გათამაშდება, ვხედავთ, რომ თამაშდება.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „დავითგარეჯის საქმეზე კიდევ ბევრი უნდა დაიჭირონ“

„მარტო მელაშვილსა და ილიჩოვაზე ჯოხი არ უნდა გადატყდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავითგარეჯის საკითხზე უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, დავითგარეჯის თემა აქტუალურობას არ კარგავს. ოპონენტები, ხელისუფლებას უკიჟინებენ, რომ ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, რადგან სხვა დროსაც შეიძლებოდა ამ თემის გააქტიურება. თქვენი პოზიცია როგორია?

– ვინც ნორმალურად და საღად აზროვნებს, იცის, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. არჩევნები საქართველოში სულ იქნება და ამ საკითხზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ?! მე მესმის რიგი ადამიანების ასეთი აქტიურობა, ნათქვამია, ქურდს ქუდი ეწვისო. მათ ადარდებს თავიანთი უსაფრთხოება, მომავალი.

– ვის გულისხმობთ, ოპოზიციას?

– რა თქმა უნდა. ე.წ. ოპოზიციას, ახლა განსაკუთრებით ვგულისხმობ ნინო ბურჯანაძეს.

– რატომ ბურჯანაძეს?

– იმ პერიოდში ნინო ბურჯანაძის ქმარი იყო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ეს უწყება უშუალოდ ჩართული იყო ამ საკითხებში და მოლაპარაკებებში. სანამ ეს ფაქტი ასე გახმაურდებოდა, მანამდე დავითგარეჯის მამაოებმა თქვეს, რომ არაერთხელ მიმართეს იმ პერიოდში საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, რათა ეს რუკები მოეძიებინათ და იმით ეხელმძღვანელათ, თუმცა ამ თხოვნაზე, მათ არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ. სარგებლობდნენ იმ რუკით, რომელიც ჩვენ კაბალურ პირობებში გვაყენებდა. შეეძლოთ გამოეყენებინათ 1938 წლის რუკა, რომელიც უპირატესობას გვაძლევდა და გამოიყენეს ისეთი რუკა, რომელმაც დაგვაზარალა.

– ბადრი ბიწაძეზე საუბრობდით და რა წვლილი მიუძღვის მას?

– ბიწაძე არა თუ არაფერს არ აკეთებდა, საერთოდ არანაირ ქმედებებს არ ახორციელებდა. ბადრი ბიწაძის პასუხისმგებლობა აუცილებლად დადგება. სწორედ ამიტომაა ეს ქალი გაგიჟებული და ამდენ სისულელეს ლაპარაკობს. გამოდის და აცხადებს, უდანაშაულო ხალხი დააკავესო, იცის საქმის მასალები, რა დევს პროკურატურაში?

რაც პროკურატურამ წარმოადგინა, მე ეჭვი არა მაქვს, რომ ეს არის სიმართლე. გაუნათლებელი ნინო კალანდაძე რომ გამოდის და აცხადებს, რუსული რუკებით უნდა ვიხელმძღვანელოთო, მაშინ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო და აბა სხვა რუკები სად გვქონდა?! არამარტო საბჭოთა რუკები, პროკურატურას მოძიებული აქვს როგორც ამერიკაში, ისე გერმანიაში დაბეჭდილი მაშინდელი რუკები, რომლებიც იდენტურია საბჭოთა რუკების. ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მინდა მივმართო, ძალიან მალე მას მოუწევს მატროსოვზე „პერედაჩების“ მიტანა თავისი ქმრისთვის. ძალიან თუ იხტუნავებს, თვითონაც მოუწევს იქ შესვლა!

– შესაძლოა, ბადრი ბიწაძე დააკავონ?

– შესაძლოა კი არა, ეს აუცილებლად მოხდება. ეს დაკავებული ადამიანები, მელაშვილი და ილიჩოვა, არიან პაიკები. რა თქმა უნდა, მათი დანაშაული იკვეთება, მაგრამ ისინი არიან პაიკები, შემსრულებლები. უფროსობასთან შეთანხმების გარეშე, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. აქ მთავარია სააკაშვილი, სააკაშვილის მერე მოდის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთელი რიგი უწყებების ხელმძღვანელები. დღეს ყველას თავისი ქუდი ეწვის და სწორედ ამიტომაც არიან გამწარებულები.

– კრემლში მოპოვებული რუკებია, რუსული ინტერესები იკვეთებაო.

– რა შუაშია კრემლი, ქართველმა ბიზნესმენმა მოიპოვა. რა შუაშია რუსული ინტერესები? იქაც არიან ქართველი პატრიოტები. რა შუაშია რუსული ინტერესები, რა, რუსეთმა გადმოგვცა, პუტინმა გამოაგზავნა?!

– დაკავებები გაგრძელდება?

– რა თქმა უნდა, გაგრძელდება, აბა მელაშვილი და ილიჩოვა გადაწყვეტდა ამ საკითხს?! აღარ იციან, თავი რით იმართლონ და საარჩევნოა, კრემლიდან მოდისო, რა შუაშია კრემლი?! გაკეთდეს ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე და რას დავეძებთ, საარჩევნოდ იქნება თუ არა.

– ანუ თქვენ ვერ ხედავთ პოლიტიკურ სარჩულს ამ საქმეში?

– რა პოლიტიკურ სარჩულზეა საუბარი, როცა ტერიტორიის მთლიანობის აღდგენას ეხება საკითხი. 6 ათასი ბერი შეეწირა დავითგარეჯის ამბებს და დღეს გამოდიან ეს ნაძირლები და აცხადებენ, ეს ტერიტორია აზერბაიჯანელების არისო.

– რა მოლოდინი გაქვთ?

– მოვუწოდებ პროკურატურას, რომ მიიყვანოს საქმე ბოლომდე. ჯოხი ამ ორ კაცზე არ უნდა გადატყდეს. ესენი არიან პაიკები. სწორედ ამ საქმის მასალებით უნდა მოხდეს, ბადრი ბიწაძის, ნინო კალანდაძის და მიხეილ სააკაშვილის პასუხისგება!

– ელოდებით ამ ადამიანების დაპატიმრებას?

– მოვითხოვ, რომ ყველა დამნაშავე დააკავონ. პური და კარაქი კი არ მოუპარავთ მაღაზიაში. ტერიტორიების გაყიდვას ეხება საქმე. კი, ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ ამ ტერიტორიებზე რომ არ გვიშვებენ, სწორედ ამ ადამიანების წინასწარი შეთანხმებების ნაწილია.

რატომ არავინ აჩვენებს იმ კადრებს, სადაც ნინო კალანდაძე და ნიკოლოზ რურუა აცხადებენ, შევეგუოთ იმას, რომ დავითგარეჯი აზერბაიჯანის ტერიტორიაა. ეს კადრები ამოსწიონ, გააშუქონ და ყველაფერი ნათელი გახდეს.

ზურაბ ნოღაიდელი: „ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოძიებისთვის კარგი დრო არ არსებობს“

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ დავითგარეჯის საქმეზე გამოკითხა.

გუშინ, 13 ოქტომბერს, ნოღაიდელმა რუსთავი 2-თან ისაუბრა.

როგორც ნოღაიდელი ამბობს, მას სურს, რომ საკითხზე გამოძიება მალე დასრულდეს.

– ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოძიებისთვის კარგი დრო არ არსებობს. არჩევნების წინ იქნება, არჩევნების მერე, 1 თვის შემდეგ, 4 წლით ადრე, ეს საკითხი ყოველთვის რთული და მძიმე იქნება. აქ, ჩემი აზრით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ადამიანებს ჰქონდეთ ზუსტად ერთი და იგივე პოზიცია, არჩევნების წინაც და შემდეგაც.

საქართველოს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ჩვენ ვერ შევიცვლით პოზიციას იმის მიხედვით, ახლა წინასაარჩევნო პერიოდია. თუ შემდეგ. პოსტსაარჩევნო პერიოდი იქნება. ჩემი პოზიციაა, რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს გამოძიება და გაეცეს ყველა კითხვას პასუხი, რომ ჩვენ ვიცოდეთ, ყველა კითხვაზე პასუხი და მტყუან-მართალი დეტალურად იყოს გარკვეული. სულაც არაფერში მჭირდება, რომ რამე კითხვის ნიშანი ისმებოდეს ჩემ მიმართ, – აღნიშნა ნოღაიდელმა „დღის კურიერში“ სტუმრობისას.

მთავარი არხის ცნობით, კომპანია, რომელშიც ნოღაიდელი მუშაობს, ბიძინა ივანიშვილის მამიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის მფარველობის ქვეშაა. „ქართული ოცნების“ 8-წლიანი მოღვაწეობა მმართველ გუნდთან მის „ჩრდილოვან სიახლოვეს“ მუდმივად ამყარებდა.

ზურაბ ნოღაიდელი დღეს საერთაშორისო კომპანია „ელგრინში“ მოღვაწეობს და სათავეში უდგას ისეთ პროექტს, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში ელექტროენერგიის მიწოდებას გულისხმობს. საკუთარი საქმიანობის შესახებ ზურაბ ნოღაიდელმა გადაცემა „ფორბს კვირაში“ გიორგი ისაკაძესთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ისაუბრა.

მისი განმარტებით, კომპანია „ელგრინის“ ქართველი დამფუძნებელი სულხან პაპაშვილია, დანარჩენები კი უცხოელი პარტნიორები არიან.

– არ მგონია, რომ უცხოელი აქციონერების დასახელება დღევანდელი პოლიტიკური ან ეკონომიკური მდგომარეობისთვის, რამენაირად მნიშვნელოვანი იყოს, – აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

მან ინტერვიუში ცალსახად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ კომპანია „ელგრინი“ რამენაირად დაკავშირებულია ბიზნესმენ უჩა მამაცაშვილთან.

ნოღაიდელის განმარტებით, ეს რომ ასე იყოს, დასამალიც არ იქნებოდა.

ეკატერინე ტიკარაძე: „ნოემბერ-დეკემბერში ინფიცირებულთა რიცხვი იქნება მზარდი“

„შევეცდებით, ავიცილოთ შემზღუდავი პროცესები“

– ნოემბერსა და დეკემბერში ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინფიცირებულთა რიცხვი იქნება მზარდი.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა.

მინისტრის თქმით, კოვიდინფიცირებულთა მზარდი რიცხვი არ უნდა გახდეს არაკონტროლირებადი.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ვაკონტროლებთ სიტუაციას და დღესაც შეგვიძლია მოვიძიოთ პირველადი და მეორეული კონტაქტები. სწორედ ესაა იმის გარანტი, რომ ვიყოთ დამაჯერებლები იმ შემდეგ ნაბიჯებში, რომლებსაც ვგეგმავთ, იქნება ეს საწოლ-ფონდის გაზრდა, დამატებითი შეზღუდვები თუ ეკონომიკისთვის იმ შანსის მიცემა, რომ არ შევზღუდოთ და არ იყოს ქვეყანაში სრული კარანტინი, – განაცხადა ტიკარაძემ.

მისი თქმით, დღეს მთავარი მიზანია კოვიდინფიცირებულთა კონტაქტების სწორი მოძიება. პაციენტებს, რომელთაც არ აქვთ სიმპტომები, ბინაში დატოვებენ, მაგრამ ვისაც არ აქვს თვითიზოლაციის საშუალება, კოვიდსასტუმროებში გადაიყვანენ და ჰოსპიტალური სექტორი იქნება მობილიზებული.

– კონტროლირებადი სიტუაციის ფარგლებში, იმედი გვაქვს, რომ ქვეყანა შეინარჩუნებს ცხოვრების რიტმს და არ მოხდება შემზღუდავი პროცესები, რაც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობისთვის, – აღნიშნა ტიკარაძემ.

ამირან სალუქვაძე: „13 წელია, საზღვრის დამდგენ სახელმწიფო კომისიას არაფერი გაუკეთებია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილზე, საგარეჯოში, სოფელ უდაბნოში, ყვარელში, სოფელ სანავარდოში უპილოტო საფრენი აპარატები ჩამოვარდა. ეს საფრენი აპარატები ჩვენი სახელმწიფოსი არ არის. ითქვა, რომ შესაძლებელია, ეს იყოს მეზობელი ქვეყნების ომის გამოძახილი. როგორ შეიძლება, ეს მომხდარიყო? ან თუ შეიძლება ვთქვათ, რომ შეგნებულად შემოაფრინეს? თქვენ რას არქმევთ ამას?

– შეგნებულად გაკეთებულს ამას არ დავარქმევდი. ძალიან მაღალი ალბათობით, ეს საფრენი აპარატები საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური მიზეზების გამო ჩამოვარდა. გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზა დაწყებულია და გაირკვევა, რა ტიპის საფრენი აპარატებია, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან რომელს აქვს შეიარაღებაში.

საგარეო უწყებების ხაზით კონტაქტი უკვე იქნებოდა და თავის დროზე საზოგადოებაც ინფორმირებული იქნება. გამოძიების დამთავრების შემდეგ უფრო დეტალური საუბრები შედგება საგარეო უწყებებს შორის. ფორმალობა მოითხოვს და, თუ საჭირო იქნება, ნოტაც წარედგინება. ალბათ, ბოდიშსაც მოიხდიან.

– შეიძლება, მეზობელი სახელმწიფოებიდან გზააბნეული საფრენი აპარატები შემოფრენილიყო?

– ერთი რამ უნდა გვესმოდეს, ომი მიდის ჩვენთან ძალიან ახლოს, საკმაოდ დაუზოგავად და მაღალი ინტენსივობით იბრძვიან. რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს: პირველი – ოპერატორმა დაკარგა მართვა და საფრენი აპარატი მისი მართვის ზონიდან გავიდა; მეორე – შეიძლება, კავშირი გაწყდა, უბრალოდ, ტექნიკური მიზეზების გამო. მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს, ტექნიკაა. მესამე – შეიძლება, მართვის პულტზე იერიში იქნა მიტანილი და ამ დროს ერთი კი არა, რამდენიმე დრონი დაეკარგათ. მათგან ერთი ჩვენთან ჩამოვარდა.

ასევე შეიძლება, რადიოელექტრონული საშუალებებით (თუ გააჩნია ასეთი საშუალება) მართვის სისტემაზე შეტევა განხორციელდა, რამაც მართვის ცენტრიდან დრონის მართვის დაკარგვა გამოიწვია. ამიტომ მე ამის ამხელა აჟიტირებას არ მოვახდენდი.

– მოგეხსენებათ. რთული ვითარებაა. საქართველოში აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დემარკაციისა და დემილიტაციის საკითხზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ორი ექსპერტია დაკავებული. როგორც ჩანს, ეს საქმე ჩვენს წინა ხელისუფლებას უკავშირდება. ამიტომ ეჭვი ჩნდება, შეგნებულად ხომ არ შემოუშვეს საფრენი აპარატი და შემდეგ ჩამოაგდეს?

– ერთმანეთთან ყველაფრის დაკავშირება შეიძლება, მაგრამ, მოდით, ქრონოლოგიურად დავალაგოთ. საზღვრის დემარკაციის საკითხი გააქტიურდა სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის შემდეგ, როცა ორმა პრეზიდენტმა ბაქოში ისაუბრა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს პრემიერების, პრეზიდენტებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოსაგვარებელი საკითხია.

ძალიან კარგია, რომ ეს საკითხი დადგა, თორემ 13 წელია, საზღვრის დამდგენ სახელმწიფო კომისიას არაფერი გაუკეთებია საზღვრების მოწესრიგების კუთხით. დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრების მოწესრიგება უმნიშვნელოვანესი საკითხია. პოლიტიკოსებისთვის ამის ახსნა რომ გვჭირდება, ძალიან ცუდია.

შემდეგ ჩვენ ვიხილეთ პროცესების გააქტიურება, როდესაც ჩვენი წარმომადგენლები, მოქალაქეები დავით გარეჯის მონასტერში მოსალოცად არ შეუშვეს. მაშინაც ატყდა აჟიოტაჟი, სალომე ზურაბიშვილს ეს საკითხი რომ არ წამოეწია, ინციდენტი არ მოხდებოდა და მომლოცველებს დაუშვებდნენო. მე გამოვაქვეყნე და შევახსენე საზოგადოებას ვიდეოკადრები, სადაც საკაშვილის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საუბრობს ამაზე.

– დიახ, მათ შორის არის მაშინდელი კულტურის მინისტრ რურუასა და საკაშვილის განცხადებების ვიდეოკადრებიც, რომ ეს ტერიტორია საქართველოსი არ არის და ამ საკითხებზე ალიევთან შეთანხმდნენ.

– დიახ, ეს თემა აქციების შემდეგ გააქტიურდა. თვეებია, რაც კომისია მუშაობს. გამოძიება აზერბაიჯან-სომხეთს შორის ომის დაწყებამდე დაიწყო. მანამდე იდგა ეს საკითხი და მოსახლეობაც ღელავდა. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა პოლიტიკური ძალებიც ღელავდნენ. ახლა, წინასაარჩევნო ვითარებიდან გამომდინარე, განსხვავებული აჟიოტაჟია. ვერ გავიგე, რომელ მხარეს არიან, რა აწყობთ, ეს უძველესი რელიგიური და კულტურული ძეგლი ჩვენთან გადმოვიდეს თუ იქით დარჩეს. ამ ხალხის პოზიციას ვერ ვხედავ.

– უფრო მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის მხარის პოზიცია.

– აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი ომის დაწყებამდე 24 სექტემბერს შედგა. ომი 27 სექტემბერს დაიწყო. 24 სექტემბერს ორმა მინისტრმა ბრიფინგზე დავით გარეჯთან და სადემარკაციო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ძალიან მშვიდად ისაუბრა.

ჩვენმა მინისტრმა დააყენა საკითხი როგორც კომისიის მუშაობის, ასევე დავით გარეჯის პრობლემის თაობაზე, ხაზი გაუსვა, რომ ეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია, ამავე დროს, განაცხადა, რომ ახალი გარემოებები არსებობს.

– როგორი იყო აზერბაიჯანის მინისტრის განცხადება?

– აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი საკმაოდ პოზიტიური იყო. მან თქვა, რომ ორ სახელმწიფოს შორის არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება დღის წესრიგში დადგეს და ის არ გადაწყდეს. ამაზე პოზიტიური განცხადება დიპლომატს რა უნდა გაეკეთებინა, არ ვიცი.

ვინც დღეს აჟიოტაჟს ტეხს, მათთვის იქნება წამგებიანი (უკვე წამგებიანია), რადგან თითიდან გამოწოვილი აჟიოტაჟია წინასაარჩევნო პროცესის გამო.

– შეიძლება დავუშვათ, რომ ის ორი ექსპერტი დამოუკიდებლად მოქმედებდა და დირექტივა არავისგან მიუღია, არც სააკაშვილისგან, არც მერაბიშვილისა და ადეიშვილისგან? კვალი საით შეიძლება მიდიოდეს?

– არ ვიცი და გარანტადაც ვერავის დავუდგები ყველაზე მძიმე დანაშაულში, რომელიც კი შეიძლება, ადამიანს წაუყენო. როცა საქმე სამშობლოს, მის ტერიტორიებს, სახელმწიფო საზღვრებს ეხება, ეს ყველაზე მძიმე დანაშაულია. არ მინდა, ამას სხვა რამ დავარქვა.

– შეიძლება, კვალი სააკაშვილამდე მიდიოდეს?

– მაგას არ ვამბობ. მე ვამბობ, რომ ეს არის უმძიმესი დანაშაული. როდესაც პროკურატურა ასეთ მძიმე დანაშაულში ბრალდებული ადამიანისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებას ითხოვს, იქ საზოგადოებას კითხვები არ უნდა ჰქონდეს, რატომ დააკავეს.

– რაზე შეიძლება ჰქონდეთ კითხვები?

– კითხვები შეიძლება ჰქონდეთ პროკურატურის ბრალდების დასაბუთებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაზე პროკურატურაა პასუხისმგებელი და, მოსწონთ თუ არა, ქვეყანაში სასამართლოა.

– სანამ ამ პიროვნებებს დააკავებდნენ, როდესაც ითქვა, რომ საქმე აღიძრა, სააკაშვილმა უცნაური რამ თქვა გამოძიების მისამართით: უნდათ, მოსკოვში მცხოვრებ აზერებს ათქმევინონ, რომ მიწები 70-80 მილიონად გავყიდეო. თქვენ ეს განცხადება როგორ გაიგეთ?

– ძალიან უცნაური განცხადება იყო. ეგ თანხა აქ არავის დაუსახელებია. სააკაშვილმა დაასახელა პიროვნებები, რომლებიც, წესით, არ უნდა დაესახელებინა, მაგრამ წინმსწრებად, გაღმა შეედავე, რომ გამოღმა დაგრჩეს პრინციპით განცხადება გააკეთა. ახლა მართლა დაკითხეს ის პიროვნებები.

მაგას რა გამოცნობა უნდა, მაშინ ჩინოვნიკი ვინც იყო, ყველას დაკითხავენ. პროკურატურისაგან ვიცით, რომ 60 ადამიანია დაკითხული, რამდენიმე ადამიანის გვარის დასახელებას რა აზრი ჰქონდა.

– ალბათ, მათთვის ჰქონდა აზრი.

– მაგათ აწუხებთ თავიანთი ნამოქმედარი. თანხის დასახელება ძალიან უცნაური იყო. საერთოდ, მთი მხრიდან აჟიოტაჟი მათთვისვეა წამგებიანი. ჯობდა, გაჩუმებულიყვნენ და ჩუმ რეჟიმში წარმართულიყო პროცესები.

– გაჩუმება თანხმობის ნიშანია.

– ჯობდა, თავდაცვის რეჟიმში ყოფილიყვნენ, ბრალდებებზე დამაჯერებელი პასუხები გაეცათ. როცა წინმსწრებად რაღაც თანხებსა და გვარებს ატრიალებ, ეს, პირიქით, ნაკლებად დამაჯერებელია. მესმის, რომ ფანკლუბის წევრებისთვის ექსპრეზიდენტმა რაც უნდა თქვას, ყველაფერი სიმართლეა და ყველაფერი მისაღებია,

მე ამ კომისიასა და კომისიის ხელმძღვანელობასთან, პრეზიდენტის თამადობით, კითხვა მაქვს: 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით კომისიამ რატომ არ იმუშავა და აზერბაიჯანთან საზღვრის პერიმეტრი რატომ არ შეათანხმა? დავუშვათ, დავით გარეჯის მიმდებარე 5-10 კილომეტრი სადავო იყო, რაზეც ვერ შეთანხმდნენ, დანარჩენ მონაკვეთებზე რატომ არ შეთანხმდნენ?

– პროკურატურამ დანარჩენი მონაკვეთები ხომ აჩვენა, წითლად იყო აღნიშნული, რამდენი ტერიტორია იყო აზერბაიჯანის სასარგებლოდ დატოვებული.

– საკმაოდ დიდ პერიმეტრზეა ჩვენი საერთო საზღვარი. აქედან დადგენილია 2/3, დარჩენილია – 1/3. ამ ერთი მესამედის ძალიან მცირე ნაწილია დავით გარეჯის პერიმეტრი. უხეშად რომ ვთქვათ, დარჩენილი 200 კილომეტრის საზღვარი რატომ არ დაზუსტდა და რატომ არ შეთანხმდა? 5-10 კილომეტრი დაეტოვებინათ და დანარჩენი შეეთანხმებინათ. კომისიას ემუშავა, რატომ არ იმუშავა?

– რატომ არ იმუშავეს?

– მე ეს კითხვა მებადება და გამცენ პასუხი, რატომ გაჩერდა სახელმწიფო კომისია 2007 წლიდან და დავით გარეჯის მიღმა დარჩენილი ტერიტორიები რატომ არ შეათანხმეს.

– საბოტაჟთან ხომ არ გვაქვს საქმე?

– ძალიან ბუნდოვან რაღაცასთან გვაქვს საქმე. რა იყო, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს. ექსპერტები არ არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც დააკავეს. ჩვენ ძალიან ბევრი კარტოგრაფი გვყავს. ეს ისეთი საკითხი არ არის, რომელიც გამოძიებამ შეიძლება შეცვალოს და პირს არამყარი მტკიცებულებების საფუძველზე ბრალი წაუყენოს. გამოძიებამ ძალიან მყარი მტკიცებულებები უნდა წარადგინოს, რომელი მტკიცებულებებიც ხელშესახები, კონკრეტული ფაქტები და მისაღებია. მთელ ქვეყანას ჩალით ვერ გადახურავენ.

– თქვენ ამ საქმესთან დაკავშირებით სააკაშვილისთვის ბრალდების წარდგენას ელოდებით?

– მე ველოდები, რომ ამ გამოძიებას საკმაოდ მძიმე შედეგები ექნება. ამას ვხედავ პროკურატურის განცხადებებიდან გამომდინარე. ბრალდების წაყენება რთულია, პირდაპირი ჩარევა თუ არ იყო.

მაქვს მოლოდინი, რომ მძიმე ბრალდებები იქნება. რა სახით გაფართოვდება ბრალდებულთა წრე, ამის პროგნოზს ვერ გავაკეთებ. ფაქტია, რომ მაშინ მიხეილ სააკაშვილი იყო მთავარი პასუხისმგებელი პირი. მას უშუალოდ ევალებოდა სახელმწიფო საზღვრების მოწესრიგება აზერბაიჯანთან და სხვა ქვეყნებთან,

სააკაშვილმა უნდა გასცეს პასუხი გამოძიებასა და საზოგადოებას, რატომ იყო კომისია გაჩერებული წლების განმავლობაში. ეს შეკითხვა შეგვიძლია ამ ხელისუფლებასაც დავუსვათ სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით. მაგალითად, რა ხდება სომხეთთან დაკავშირებით, რა პროცესია. ვიცი, რომ მუშაობენ, მაგრამ ინფორმაცია არ გვაქვს.

გიგა ბუკია: „სახელმწიფოს ღალატის მუხლის აღდგენა მარტივი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ გიგა ბუკიას.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2007 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო სახელმწიფოს ღალატის მუხლი. მათი მტკიცებით, მანამდე მოხდა ანტისახელმწიფოებრივი გარიგება დავითგარეჯზე. ისინი აპირებენ მომავალი პარლამენტის შეკრებისთანავე აღადგინონ ღალატის მუხლი. თქვენ თუ ისევ იქნებით საკანონმდებლო ორგანოში, ამას მხარს დაუჭერთ?

– ზოგადად, თუ რომელიმე დანაშაული სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს, დასჯადი უნდა იყოს. სამშობლოს ღალატი ცოტა სხვა ცნებაა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენში მოღალატის ბრალდებას ერთმანეთს ხშირად უყენებდნენ. სააკაშვილის ხელისუფლებაც ბოროტად იყენებდა ამ განსაზღვრებას. იურიდიულ ჩარჩოებშიც ძნელად ჩასასმელია ღალატი. შეიძლება ღალატი დააბრალო უდანაშაულო ადამიანს. ეს ისეთი ბრალდებაა, ამას დახვრეტა ჯობია. როცა ასე თამამად აცხადებენ, რომ ეს მუხლი უნდა აღდგეს, ეს ცოტა დამაფიქრებელია.

– ეს საკითხი მიება დავითგარეჯის პრობლემას, ამ საქმეზე დაკავებულ კარტოგრაფებს.

– ეს ჩვენშიც იწვევს შეკითხვებს, ისევე, როგორც მოსახლეობის უმრავლესობაში. არ ვიცი, ჩაიდინეს თუ არა დაკავებულებმა დანაშაული. თუ ჩაიდინეს, უეჭველია, რომ ეს არ იქნებოდა მათი თვითშემოქმედება და პირადი მოსაზრებებიდან გამომდინარე ქმედება. დაველოდებით არჩევნებს. იმედია, არჩევნების შემდეგ ყველაფერს პასუხი გაეცემა და ჯოხი მხოლოდ მეისრეებზე არ გადატყდება. უნდა მივიღოთ ზუსტი პასუხები და არა ჭორები. რაც უნდა უარყონ, რომ ასეა, ამას აქვს წინასაარჩევნო კონტექსტი.

„ევროპული საქართველო“ და ნაცმოძრაობა ამ მომენტში ერთმანეთის კონკურენტები არიან, არჩევნების შემდეგ კი ერთად შეიკვრებიან“

– იმედი გაქვთ, რომ ამ საქმეს ნათელი არჩევნების შემდეგ მოეფინება. არჩევნებამდე ახალ ნიუანსებს არ ელით? მაგალითად, გამოქვეყნდა ყოფილი პრემიერის, ზურაბ ნოღაიდელის წერილი აზერბაიჯანელი კოლეგისადმი, სადაც ის დავითგარეჯს აზერბაიჯანის ტერიტორიად მოიხსენიებს.

– ალბათ, სიახლეები და ჭორები არჩევნებამდე კიდევ იქნება. მთავარია, საქმე ობიექტურად გამოიკვლიონ. ამ ტერიტორიას აზერბაიჯანის მიწად მოიხსენიებდნენ სააკაშვილის სხვა ჩინოსნებიც. ეს ცნობილია. ისიც აშკარაა, რომ პრობლემის აქტუალიზაცია გამოიწვია არჩევნებმა.

„რომელი პარტია უნდა იყოს პოლიტიკურ ველზე, ეს ამომრჩევლის გადასაწყვეტია“

– არასამთავრობო ორგანიზაცია „დავასრულოთ“ აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინოს პეტიცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაუქმების მოთხოვნით. იმ მოტივით, რომ მაშინ, როცა ეს ძალა ხელისუფლებაში იყო, დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობა დავითგარეჯის მონაკვეთზე.

– ყველას აქვს უფლება, შეიტანოს სარჩელი და პეტიცია იმ ძალის წინააღმდეგ, რომლის მმართველობის დროს უამრავი უმძიმესი დანაშაული იყო ჩადენილი. ამ ადამიანების მესმის. ნაცმოძრაობის საქმიანობაზე კი ჩემი აზრი მაქვს. რომელი პარტია უნდა იყოს პოლიტიკურ ველზე, ეს ამომრჩევლის გადასაწყვეტია. 31 ოქტომბერს, პარლამენტის არჩევნებზე ვნახავთ, რა პოზიცია აქვს ხალხს. თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალები გამოსავალს იპოვიან – შექმნიან და დაარეგისტრირებენ სხვა პარტიას. არც პარტიის წევრები დაეკარგება და არც მომხრეები.

– თქვენი დაკვირვებით, როგორია ამომრჩევლის განწყობა?

– საპარლამენტო არჩევნები ყოველთვის ინტერესს იწვევს. ეს არჩევნები კი განსაკუთრებულია იმით, რომ ასახავს მეტი ამომრჩევლის განწყობებს. მომავალ პარლამენტში დაახლოებით 10 ან 12 პარტიის წარმომადგენლები მოხვდებიან. შემცირდა რადიკალიზაცია და საზოგადოებას აღარ აქვს არჩევანი ან ბიძინა, ან – მიშა. ამ დრომდე არიან გადაუწყვეტელი ამომრჩევლები. არა მგონია, ისინი „ოცნებას“ ან ნაციონალებს მიემხრონ. დარჩენილ დროში ისინიც მიიღებენ გადაწყვეტილებას.

– არც ბიძინა, არც მიშა, ამ შინაარსის სლოგანები უფრო მკვეთრად გაისმა „ევროპული საქართველოდან“. მათ გარადიკალურებას რას მიაწერთ?

– კონკურენციას. „ევროპულ საქართველოს“ და ნაციონალურ მოძრაობას ჰყავთ ერთი და იგივე ელექტორატი. სხვა ხმები მათ არ შეემატებათ. ყოველი მათგანი ცდილობს ამომრჩეველს დაუმტკიცოს, რომ ისაა ძლიერი. ეს წინასაარჩევნო პაექრობაა. „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა ამ მომენტში არიან ერთმანეთის კონკურენტები, არჩევნების შემდეგ კი ერთად შეიკვრებიან. ადრეც ვამბობდი, რომ ისინი კი არ დაიშალნენ, არამედ, გაიშალნენ. ჩაივლის 31 ოქტომბერი და მეორე დღეს ისინი ერთმანეთში სიამტკბილობას გააგრძელებენ. მეორე ტურებშიც ერთად დადგებიან.

– არჩევნების შემდეგ თუ ქუჩის პროტესტი დაიწყო, მაშინაც ერთად იქნებიან?

– რასაკვირველია. ისინი ყველაფერს გააკეთებენ ძალაუფლებისთვის. მათი ორგანიზებული პროტესტი (თუ ეს მოხდა) მძლავრი ვერ იქნება, იმიტომ, რომ მათ არ აჰყვება მოსახლეობის უმრავლესობა.

სპეცოპერაცია თბილისში — პროკურატურამ რამდენიმე ობიექტიდან დიდი ფული ამოიღო

ათეულობით მილიონი სხვადასხვა ვალუტის თანხების შესაძლო გათეთრების ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა თბილისში რამდენიმე ობიექტზე ჩხრეკა ჩაატარეს.

როგორც გენერალური პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ფასეულობების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები გამოიყენეს.

„საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ჯგუფურად განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემოსავლის მიღება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმე ეხება ტრანსნაციონალური ხასიათის, ათეულობით მილიონი სხვადასხვა ვალუტის თანხების შესაძლო გათეთრებას.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის და ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობების, ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების მოძიება-ამოღების მიზნით, 2020 წლის 13 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში მდებარე რამდენიმე ობიექტში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა, რა დროსაც გამოძიებისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტაციასთან ერთად ამოღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ფასეულობების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული იქნა სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები.

საქმეზე გრძელდება გამოძიება. საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა პერიოდულად მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას გამოძიების შედეგების თაობაზე“ – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

სპეცრაზმი კომპანია „ბროლის“ ოფისში შევიდა

გუშინ, 13 ოქტომბერს, კახეთის გზატკეცილზე, კომპანია „ბროლის“ ოფისში სპეცრაზმი შევიდა.

კომპანიის დამფუძნებელი არაბი ბიზნესმენია, რომელიც ახლა საქართველოს მოქალაქეა. არსებული ინფორმაციით, კომპანია ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას აფინანსებდა, რასაც ხელისუფლების რადიკალური გადაწყვეტილება მოჰყვა. კომპანიაში ამბობენ, რომ მათ წინასაარჩევნო შეხვედრები მარნეულსა და გარდაბანში ჰქონდათ დაგეგმილი.

– ჩვენ ვუკავშირებთ ამას უშუალოდ, რომ სუსი აქტიურად უსმენს ჩვენს სატელეფონო საუბრებს. მათ პრევენცია განახორციელეს, რომ ჩვენთვის ჩაეშალათ ეს შეხვედრები, ხოლო მეორე მომენტია, რომ ამ კრიზისის პერიოდში ლეგალიზებულია ბიზნესტერორი, – განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

გამმძიებელმა დათო ბაინდურაშვილმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება ტრანსნაციონალური ხასიათის ფულის გათეთრებას. მან ადგილზე სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლების ყოფნაც განმარტა და აღნიშნა, რომ მათი პროცესში ჩართვა ჩხრეკის მიმდინარეობისა და ამოღებული დოკუმენტაციის ტრანსპორტირების უსაფრთხოების მიზნით მოხდა.

– დანაშაული წარმოადგენს ტრანსნაციონალური ხასიათის ფულის გათეთრების საქმეს. აღნიშნული საქმის ფარგლებში რამდენიმე ობიექტზე, მათ შორის, საცხოვრებელ სახლში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია ორგანიზაციის და ასევე ელექტრონული მატარებლების. იმისთვის, რომ შესაძლო ამოღებული ნივთები დაქვემდებარებოდა უსაფრთხო ტრანსპორტირებას, დანიშნულების ადგილზე მიტანას, ასევე ჩხრეკის მიმდინარეობის უსაფრთხო განხორციელებისთვის დაგვჭირდა საქმეში ჩართული ყოფილიყო სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები. დაკავებული ამ ეტაპისთვის არავინ არ არის, – განაცხადა დათო ბაინდურაშვილმა.

ადვოკატი: „მოწმეებმა გამორიცხეს ზ.ხ.-ს ბრალი“

გიორგი შაქარაშვილის საქმეში ბრალდებული არასრულწლოვან ზ.ხ. -ს ადვოკატის, მურმან ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, გუშინ, 13 ოქტომბერს, გამოკითხული ორივე მოწმის ჩვენებები იმდენად სრულყოფილი იყო, რომ მათში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და მათ სრულად გამორიცხეს წაყენებული ბრალის რეალურობა.

– სასამართლო პროცესზე დაიკითხა როგორც ვახტანგ ჩიქოვანი, ასევე ბრალდებული ზ.ხ. , რომელთა ჩვენებებმა ფაქტობრივად გამორიცხა და სიცრუეში დაადანაშაულა ე.წ. ოქროს მოწმის ჩვენებები. ორივე მოწმის ჩვენებები იმდენად თანმიმდევრული და სრულყოფილი იყო, რომ მათში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორივე მოწმე დაიკითხა სასამართლოზე ერთდროულად, შესაბამისად, ფიზიკურად ვერ მოვახერხებდით მათი ჩვენებების შეთანხმებას. მათ სრულად გამორიცხეს წაყენებული ბრალის რეალურობა, – აღნიშნა მურმან ნიკოლეიშვილმა.

უფლებადამცველის განცხადებით, ვახტანგ ჩიქოვანი, არასრულწლოვანი ზ.ხ. და ვასილ მახარაძე ავტომაგისტრალის გადაკვეთის და ე.წ. ფერად შენობასთან მისვლის შემდეგ, მანქანის მოსაყვანად უკან გაბრუნდნენ და ხიდთან არც ერთ მათგანს არ ჩაურბენია.

– ხიდთან არავის არ ჩაურბენია, როდესაც გადმოვიდნენ მანქანიდან, ისინი თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, თუმცა, რატომ, მისთვისაც აუხსნელია. შემდეგ მივიდნენ და გაჩერდნენ ფერად შენობასთან, იქ აღარავინ დაუნახავთ, თუ სად წავიდა და როდესაც ექვსივე შეიკრიბა, თქვეს, ცალკე მანქანა მოვიყვანოთო. ჩიქოვანი, ზ.ხ. და მახარაძე მიდიან მანქანის მოსაყვანად, – განაცხადა მურმან ნიკოლეიშვილმა.

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულ არასრულწლოვნებს ძალადობას, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან.

7 მილიონი ლარის მითვისებისთვის 1 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქონების მესაკუთრის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მის დაქვემდებარებაში არსებული ორი კომპანიის სახელით, დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილში შეიქმნა ზედმეტობა ჯამში 7.133.000 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საქმეზე ეფექტიანად გატარებული ათეულობით საგამოძიებო მოქმედების შედეგად, დროულად იქნა აღკვეთილი აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება. ბრალდებულმა ხსენებული თანხიდან შეძლო მხოლოდ 224.996 ლარის ოდენობის აქტივის გამოყენება მიმდინარე საგადასახადო დავალიანების დასაფარავად, რითაც ბიუჯეტზე აცილებულ იქნა დაახლოებით 6.900.000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების საფრთხე.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

კარდენახში 61 წლის ნ.ხ-მ 52 წლის ი.ი. დაჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1 პირი – 1959 წელს დაბადებული ნ.ხ. დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, თანასოფლელს – 1968 წელს დაბადებულ ი.ი.-ს ცივი იარაღით მუცლის არეში ჭრილობა მიაყენა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, სოფელ კარდენახში დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

„ეზობელმა მიაკითხა და მამაკაცი გარდაცვლილი დახვდა“

რა მოხდა გურჯაანში

70 წლამდე ასაკის მამაკაცი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი ნახეს.

შემთხვევა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბანში მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცს სახლში, რამდენიმედღიანი გაუჩინარების გამო, მეზობელმა მიაკითხა და მისი ცხედარი აღმოაჩინა.

წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

არის თუ არა საეჭვო გარემოებები მამაკაცის გარდაცვალებაში, სამართალდამცველები სწავლობენ.

შსს-ს ცნობით, გამოძიება საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„კედელი გაანგრიეს და ისე შევიდნენ“

გარდაბანში მაღაზია გაქურდეს

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალარში გუშინ, 13 ოქტომბერს, გამთენიისას სასურსათო მაღაზია გაქურდეს. სავარაუდოდ, დამნაშავეებმა ჯერ მაღაზიის კედელი დაანგრიეს და შიგნით ისე შევიდნენ.

წაღებულია ძვირადღირებული სასმელი და სხვა პროდუქტი.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ბოლო რამდენიმე დღეში სოფელში რამდენიმე სახლი გაიქურდა, თუმცა დაკავებული არავინაა.

თბილისში იარაღის შეძენა-შენახვისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში ერთი პირი დააკავეს.

1996 წელს დაბადებულ ო.ც.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელ ბინასა და ავტოფარეხში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, კალაშნიკოვის სისტემის „აკს“-ის მოდელის ავტომატი, „ეკოლ არას მაგნუმის“ მოდელის პისტოლეტი, 2 მჭიდი და 4 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

დედა-შვილი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით, 2 პირი: 1965 წელს დაბადებული მ.კ. და 1992 წელს დაბადებული ი.ზ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, რომლებიც დედა-შვილი არიან, მოქალაქეებს თანხების მოტყუებით მითვისებისა და ნდობის მოპოვების მიზნით ეცნობოდნენ, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები.

დაკავებულები 30-ზე მეტ მოქალაქეს დაჰპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ სოციალურად დაუცველისა და დევნილის სტატუსის მოპოვებაში, ასევე, ჰპირდებოდნენ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას და ბინებით უზრუნველყოფას, რის სანაცვლოდაც თითოეულ მოქალაქეს მოტყუებით გამოართვეს და მიითვისეს თანხები – 2.000 ლარიდან 10.000 აშშ დოლარამდე.

გარდა ამისა, ბრალდებულებმა, თითქოსდა მისაღებ საცხოვრებელ ფართებში ავეჯის განთავსების სანაცვლოდ, ამავე მოქალაქეებისაგან დამატებით, მოტყუებით მიითვისეს ფული – 500-500 ლარის ოდენობით.

სამართალდამცველებმა, კომპლექსური საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მ. კ. და ი. ზ. თბილისში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

ჯგუფურად, დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით ჩადენილ თაღლითობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ხულოში სატვირთო ხევში გადავარდა

1 მამაკაცი დაიღუპა, მეორე დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

აჭარაში, ხულოში, სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

ავარიის შედეგად 60 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა, ხოლო მანქანაში მყოფი კიდევ ერთი მამაკაცი მძიმედ დაშავდა.

პაციენტი უახლოეს კლინიკაში არის გადაყვანილი და მისი მდგომარეობა ფასდება, როგორც კრიტიკული.

შსს-ში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ლავროვი მნაცაკანიანს შეხვდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავის სომეხ კოლეგას მნაცაკანიანს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა ყარაბაღში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ლავროვმა თქვა, რომ მოსკოვში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმების მიუხედავად, ყარაბაღში მშვიდობამ ვერ დაისადგურა. რუსეთის მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს დღეებში გარღვევის მიღწევა მოხერხდება და მშვიდობა დამყარდება.

ბელარუსის შს: „ჩვენ ვიხმართ იარაღს!“

მინსკში საპროტესტო აქციები არ წყდება. ამჯერად ქუჩაში უკვე პენსიონერები გამოვიდნენ. ხელისუფლებამ მათ ომონი მიუსია. აქცია დაარბიეს. მრავალი მოხუცი ნაცემია.

ამის შემდეგ მინსკში გავრცელდა პროკლამაციები, სადაც ხალხს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლებისკენ მოუწოდებდნენ.

„ლუკაშენკომ წითელი ხაზი გადაკვეთა! მისი პრეზიდენტის პოსტზე დარჩენა აღარ შეიძლება“ – ნათქვამია პროკლამაციაში.

ბელარუსის შს მინისტრის პირველმა მოადგილე კაზაკევიჩმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ აქციები უკვე მეორე თვეა, რაც არ წყდება; მეტიც, ისინი სულ უფრო რადიკალურ და აგრესიულ ხასიათს იღებენ. კაზაკევიჩმა თქვა, რომ დემონსტრანტებს შორის გამოჩნდნენ ანარქისტები, ნეოფაშისტები და საფეხბურთო ფანატები.

– ხალხმა თავი ძალიან აიშვა! თუ აქციები არ შეწყდება, ჩვენ ცეცხლსასროლ იარაღს გამოვიყენებთ! -– თქვა კაზაკევიჩმა.

ნიჟნი ნოვგოროდში 18 წლის მამაკაცმა ავტობუსი დაცხრილა

ნიჟნი ნოვგოროდის მახლობლად სისხლიანი ტრაგედია მოხდა. უცნობმა მამაკაცმა ავტობუსს ცეცხლი გაუხსნა. შედეგად დაიღუპა 4, დაიჭრა 3 ადამიანი.

თავდამსხმელი 18 წლისაა. ის ნიჟნი ნოვგოროდში ბებიასთან სტუმრობდა.

დადგენილია, რომ თავდამსხმელი დენის მონახოვია. მას კონფლიქტი მოუვიდა ბებიასთან და ის სანადირო თოფით დაჭრა. სროლის ხმაზე მეზობელმა მოირბინა და სცადა მისთვის იარაღი წაერთმია. მონახოვმა მასაც ესროლა, დაჭრა და ქუჩაში გავარდა. როგორც ჩანს, მას სურდა ავტობუსით გაეღწია ქალაქიდან, რადგანაც გაჩერებაზე გაჩერდა. ავტობუსი გამოჩნდა თუ არა, ხელი აუწია. მანქანა არ გაჩერდა. მაშინ მონახოვმა ავტობუსის მიმართულებითაც ისროლა.

საპარლამენტო არჩევნები ლიტვაში

ლიტვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

პირველ ტურში მემარჯვენე-ცენტრისტულმა „სამშობლოს დაცვის კავშირმა“ გაიმარჯვა. მას სათავეში უდგას გაბრიელიუს ლანდსბერგისი. მისმა ორგანიზაცამ 16% მიიღო. მეორეზე გავიდა ამჟამინდელი მმართველი პარტია „მწვანეთა და გლეხთა კავშირი“ (11%). მესამეზეა ლიბერალური პარტია, რომელიც ასევე მემარჯვენე-ცენტრისტულ პოზიციებზე დგას. სავარაუდოდ, „სამშობლოს დაცვის კავშირი“ და ლიბერალური პარტია არჩევნების შემდეგ ერთიან კოალიციას შექმნიან.

ანჟეი დუდა კიევში ჩავიდა

კიევში პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა ჩავიდა. ის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა-პოლონეთის ურთიერთობები იყო.

დუდამ განაცხადა, რომ პოლონეთ-უკრაინის კავშირი მტკიცეა. ზელენსკიმ თავის მხრივ დაამატა, რომ ესაა მძლავრი ტანდემი აღმოსავლეთ ევროპაში.

– ბევრ ჩვენს არაკეთილისმსურველს უკრაინა-პოლონეთს შორის შუღლის ჩამოგდება სურს. ეს ამაო გარჯაა! -– თქვა ზელენსკიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რიტა ორამ პიჯაკი შიშველ სხეულზე მოიცვა

პოპულარულმა ბრიტანელმა პოპ-შემსრულებელმა რიტა ორამ გამოაქვეყნა საკუთარი ეროტიკული შინაარსის ფოტოსურათების სერია და საკუთარი თაყვანისმცემლები ააღელვა. ფოტოსურათები ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

სოციალურ ქსელში განთავსებულ კადრებში 29 წლის მომღერალი ნაცრისფერ პიჯაკში პოზირებს, რომელიც შიშველ სხეულზე აქვს მოცმული. თმები უკან კუდივით აქვს შეკრული, ხოლო შუბლზე თმები ტალღისებურად აქვს გადავარცხნილი.

– ვლოცულობ, რომ ეს წვიმა დასრულდეს, დაწერა ფოტოსურათების კომენტარში, რომელმაც 170 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, – რიტა ორამ.

ფოტოსესიის ავტორია ბრიტანელი ფოტოგრაფი რონან პარკი, რომლის კამერის ობიექტივში ყველაზე ხშირად სწორედ რიტა ორა და მომღერალი დუა ლიპა ხვდებიან.

ბიკინიში გამოწყობილმა ბელა ჰადიდმა საკუთარი ფოტოსურათები გამოაქვეყნა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა საკუთარი ფოტოსურათები გამოაქვეყნა, რომლებზეც ის საცურაო კოსტიუმშია გამოწყობილი და ამით საკუთარი თაყვანისმცემლები გაახარა.

პლაჟზე გადაღებულ ფოტოზე 24 წლის სუპერმოდელი ვარდისფერ-ნარინჯისფერ ბიკინიში გამოწყობილი იწონებს თავს. ის ასევე აღბეჭდილია წყალში, სველი თმებით. საკუთარი სახე ბელამ ასევე დაამშვენა მზის სათვალეებით და უამრავი სამკაულით: სამაჯურებით, საყურეებით, ბეჭდებით, გულსაკიდით და ასევე წელზე შემოხვეული ჯაჭვით. მისმა ფოტოსურათმა, რომლის კომენტარში სუპერმოდელმა დაწერა: „უბრალოდ თავი დამანებე“, 1,7 მილიონი მოწონება მიიღო.

ფანებმა კი საკუთარი შეფასებები საკუთარ კომენტარებში აღბეჭდეს.

– მინდა შენ სილამაზეს ლექსი მივუძღვნა, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ვერც კი ვახერხებ ყველაზე საყვარელი კადრის შერჩევას, – აღნიშნა მეორემ.

– სრულყოფილებავ, გამაოგნებელი ხარ, – აღფრთოვანება ვერ დამალა მესამე თაყვანისმცემელმა.

წყვილის მიერ ნაყიდი კნუტი ვეფხვის ბოკვერი აღმოჩნდა

საფრანგეთის ქალაქ ჰავრის მცხოვრებ წყვილს თაღლითებმა კნუტის ნაცვლად სავანის ჯიშის ვეფხვის ბოკვერი მიჰყიდეს.

2018 წელს ქალმა და მამაკაცმა, რომელთა ვინაობა არ მჟღავნდება, ინტერნეტში ნახეს განცხადება სავანას ჯიში კნუტის გაყიდვის თაობაზე, რომელიც ეგზოტიკური აფრიკული სერვალის და შინაური კატის შეჯვარების შედეგად დაიბადა. მათ პატარა ცხოველში დაახლოებით შვიდი ათასი დოლარი გადაიხადეს.

მოგვიანებით წყვილი დაეჭვდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო. აღმოჩნდა, რომ მათ სინამდვილეში სუმატრული ვეფხვის ბოკვერი შეიძინეს, რომელიც გადაშენების პირას მყოფ სახეობად ითვლება. ველური ბუნების მსოფლიო ფონდის მონაცემებით, მსოფლიოში ამ სახეობის სულ 400 ვეფხვია დარჩენილი.

მას შემდეგ, რაც წყვილმა პოლიციას მიმართა, საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოძიება ჩაატარა და ცხრა ადამიანი დააპატიმრა, რომლებიც ცხოველის ქვეყანაში უკანონოდ შემოყვანასა და გაყიდვაში არიან ეჭვმიტანილები.

თავად ცხოველი თავს კარგად გრძნობს და ის ბიომრავალფეროვნების საფრანგეთის ოფისს გადაეცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან ღვინჯილიამ „რანინას“ უსაყვედურა



ენათმეცნიერმა **ლევან ღვინჯილიამ** მუსიკალურ შოუს „რანინას“ უსაყვედურა. ამის მიზეზი ფოლკლორის ტურში ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ ცუდად ნამღერი მეგრული სიმღერაა:

– ვინმემ ხომ არ იცით, რა ენაზე მღერიან? ამ ცნობილ ანსამბლს მეტი პასუხისმგებლობა მართებს, როცა მისთვის ხელმიუწვდომელ ენაზე მღერის. რა პრობლემა იყო ტექსტის გამართვა?

უხერხულია ამის საჯაროდ გამოტანა. არ გეკადრება, დავით, შენი პრეტენზიის მქონე ლოტბარს, მეგრულისადმი ასე აგდებული დამოკიდებულება, იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ ამ სიმღერის წმინდად ეროტიკული შინაარსი ყოვლად შეუფერებელია მცირეწლოვანი გოგონასთვის შესასრულებლად, როცა ზრდასრული მამაკაცი პატარა ბავშვს ეარშიყება. სამწუხაროა, მეტი რომ არ ვთქვათ!

ლევან ღვინჯილიას საყვედურს ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი **დათო ცინცაძე** გამოეხმაურა:

– მე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი, პროექტის „რანინა“ – ფოლკლორის ტურის ავტორი და ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი ვგრძნობ პასუხისმგებლობას და მინდა გამოვეხმაურო ბატონ ლევან ღვინჯილიას ფეისბუქ პოსტს.

პირველ რიგში, მინდა მას მადლობა ვუთხრა, რომ ჩვენი მაყურებელია და გვგულშემატკივრობს – შეცდომა არ მოგვივიდეს. ამას ძალიან ვაფასებთ.

რაც შეეხება პრობლემას – მის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სიმღერის დროს მეგრული ტექსტი არ იყო სათანადოდ გამართული, ცხადია, მისაღებია. ჩვენ, არამეგრელები აქამდეც ვცდილობდით და სამომავლოდაც გავაგრძელებთ მცდელობას, რომ სვანურ, მეგრულ და სხვა დიალექტებზე/ენაზე მღერის დროს სწორად გამოვთქვათ სიტყვები. თუმცა მოგვიტევეთ თუ ქართლელი 12 წლის ბავშვი (და არა მხოლოდ) ვერ გამოთქვამს მეგრულად ისე, როგორც მეგრელი.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ სიმღერა ეროტიკული შინაარსისაა და არაა ბავშვის სამღერი – დიახ, ეს სიმღერა სატრფიალოა და ნებისმიერი სატრფიალო სიმღერა ეროტიკული შინაარსისაა, თუმცა არაა უხამსი. და, დიახ, ვეთანხმებით ბატონ ლევანს, რომ საბავშვო რეპერტუარი არაა არც „მე რუსთველი“, არც დედის „იავნანა“, არც „ჭიჭე-ტურა“, არც „შიშ-ნანი“, არც „ხასანბეგურა“ და არც „ანაგურელო“ – და არც სხვა ის ნიმუშები, რომელიც „რანინაში“ ისმის.

აქ, „რანინაში“ ბავშვები ასრულებენ მეტად რთულ სიმღერებს არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ პროფესიონალებისთვისაც კი.

რაც შეეხება კრიტიკის ფორმას – ბატონო ლევან ღვინჯილია, თქვენნაირი ღვაწლმოსილი მეცნიერისგან კრიტიკის ასეთი ფორმა მიუღებელი მგონია და თქვენც კარგად იცით, რომ კრიტიკა მხოლოდ შეცდომაზე საუბარი არაა. უნდა ითქვას დადებითიც და პრობლემებიც.

დღემდე არაერთი მეგრული, გურული, კახური და სხვა კუთხეების ნიმუშები შესრულდა ჩვენთან, თუმცა თქვენი მხრიდან რეაგირება მხოლოდ ახლა და ასეთ პრობლემაზე უცნაურიც და უხერხულიც მგონია. არადა რამდენი დადებითია სათქმელი...

და ბოლოს – აქამდე 3 სეზონი განვლო „რანინამ“. შესაბამისად, ბატონო ლევან, გთხოვთ, ჩამოთვალოთ 30 საბავშვო შინაარსის ქართული ხალხური სიმღერა და ასევე მომავალი წლის 10 სიმღერის იდეასაც სიამოვნებით მოვისმენდი.

თუ იცით მსგავსი რეპერტუარი, გეპატიჟებით გადაცემაში „ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები“ და როგორც მოქმედმა სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა, ჩაატარეთ ერთი გაკვეთილი – ჩვენი ეთერი ღიაა თქვენთვის მუსიკის გაკვეთილის ჩასატარებლად, თუ თანახმა იქნებით და შეძლებთ.

მე კი შემიძლია გითხრათ, მე, დათო ცინცაძემ, „შავნაბადას“ ხელმძღვანელმა, არ ვიცი ქართულ ფოლკლორში საკუთრივ საბავშვო რეპერტუარი ამ რაოდენობით. ჩემი გამოცდილებით და ცოდნით არც არსებობს ეს რაოდენობა. ჩვენ, „მართვეში“, „ბიჭებში“ და სხვა ბავშვთა ანსამბლებში გავიზარდეთ „ჩაკრულობზე“, სატრფიალო სიმღერებზე, ცხენოსნურებზე, მაყრულებზე და სხვა ზრდასრული ასაკის შესაბამის სასიმღერო ჟანრებზე. როგორც ჩანს, არც ჩვენმა პედაგოგებმა იცოდნენ 30-40 საკუთრივ საბავშვო სიმღერა.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი იდეა და გაგვიზიაროთ გამოცდილება.

თუ ვერ ჩამოთვლით, ეს იმას ნიშნავს, რომ „რანინაში“, რომელიც ასეთ პოპულარიზაციას უწევს ახალგაზრდებში ქართულ ფოლკლორს, უნდა შევწყვიტოთ ფოლკლორის ტურები?!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

საქართველო და ჩრდილოეთ მაკედონია გენერალურ რეპეტიციას დანაკლისით ხვდებიან

ქართული ფეხბურთისთვის მთავარი მატჩი ნოემბერშია. იმ ისტორიულ მატჩამდე კი ვლადიმირ ვაისის გაწრთვნილებს 14 ოქტომბერს გენერალური რეპეტიცია ელით.

ისე გამოვიდა, რომ 2020 წლის საფეხბურთო შემოდგომაზე საქართველოს ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიასთან გადაიხლართა. ეს რომ მინიმუმ ორჯერ ასე იქნებოდა, ჯერ კიდევ მარტში ვიცოდით, როდესაც ამსტერდამში უეფას ერთა ლიგის რიგით მეორე გათამაშების წილისყრამ მეტოქეებად სომხეთის და ესტონეთის დარად ჩრდილოეთ მაკედონია გვარგუნა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს, არსებობის ისტორიაში უმთავრესი დაპირისპირებაც თუ მათთან მოუწევდათ, ეს 8 ოქტომბერს გაირკვა, როდესაც გორან პანდევმა და კომპანიამ საფლეიოფო ჯახში კოსოვოს 2:1 მოუგო.

12 ნოემბრის თბილისურ ფინალამდე კი, სკოპიეს მატჩია. საქართველოს ნაკრებს მთავარი მატჩი ერთა ლიგაზეც მაკედონიელებთან აქვს. მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ ორი ტური იქნება დარჩენილი, დიდი ალბათობით, ც დივიზიონის გამარჯვებულის ვინაობას ამ მატჩის შედეგი განაპირობებს. ჯვაროსნებს, ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერება სომხეთის ნაკრებთან გამარჯვების შემთხვევაში შეეძლოთ, მაგრამ ბოლო წუთებზე მხითარიანის მიერ ზუსტად შესრულებულმა პენალტმა ტაბლოზე ფრე დააფიქსირა და ახლა პირველ ადგილზე ჩრდილოეთ მაკედონიაა, თუმცა საქართველოს ნაკრებსაც 3 ტურის შემდეგ 5 ქულა აქვს და ჯერ დაკარგული არაფერია.

საქართველოს ნაკრებს კაპიტანი ჯაბა კანკავა ვერ დაეხმარება, რომელმაც სომხეთთან მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. კანკავას გარდა გუნდს გიორგი აბურჯანიაც გამოაკლდა, რომელიც საკუთარ კლუბს – ოვიედოს დაუბრუნდა, რადგან მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმებით ფეხბურთელი ნაკრებში მხოლოდ საწყის 2 მატჩში იქნებოდა.

დანაკლისია მოწინააღმდეგე ბანაკშიც. მასპინძლებმა ერთბაშად 4 ფეხბურთელი – ბარდი, ადემი, დიმიტრიევსკი და ელმასი მოისაკლისეს.

თუმცა, მაკედონიელთა თავკაც იგორ ანგელოვსკის საკადრო პრობლემები ამით არ ამოწურულა. ესტონეთთან 3:3 დასრულებულ მატჩში სათადარიგოთა სკამზე 12-ის ნაცვლად 7 ფეხბურთელი ჰყავდა. საქართველოსთან მატჩის წინ კი, სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა და ანგელოვსკიც იძულებული გახდა ნაკრებში 5 სხვა ფეხბურთელი მიეწვია, მათ შორის არის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი აგრონ რუფატი.

მაკედონიელებმა ბოლოს გაარკვიეს, რომ რუფატის საქართველოს ნაკრებთან თამაშის უფლება არ აქვს. საქმე ისაა, რომ მან 21-წლამდელთა რიგებში ყვითელი ბარათები დაუგროვდა. ახალგაზრდულის ფეხბურთელს კი, უეფას წესებით, დისკვალიფიკაცია სხვა ნაკრებებშიც ავტომატურად გადაყვება.

არადა, ანგელოვსკის ძალიან უჭირს ცენტრალური მცველის პოზიციაზე, მუსლიუ და ბეიტულაი დისკვალიფიცირებულები არიან. აღსანიშნავია, რომ ვარჯიშზე ახალდამატებული ხუთეულიდან მხოლოდ რუფატიმ ივარჯიშა, დანარჩენი 4 ფეხბურთელი სასტუმროში ელოდა კორონავირუსის ტესტის პასუხებს.

ვლადიმირ ვაისის გუნდი პოლონეთის ქალაქ კატოვიცედან ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქში ჩარტერული ავიარეისით ჩავიდა. ქართველმა ფეხბურთელებმა ჩრდილოეთ მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის საფეხბურთო მოედანზე პირველ დღეს აღდგენითი ვარჯიში გამართეს, გუშინ სრულფასოვნად ივარჯიშეს, დღეს კი თამაშია.

მაკედონიელებთან სათამაშოდ ემზადებიან:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (ალმერია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), სოლომონ კვირკველია (როტორი, რუსეთი), ნიკა მალი (საბურთალო), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), მამუკა კობახიძე, გიორგი ნავალოვსკი (ორივე დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (კონიასპორი, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია, თორნიკე ოქროიაშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ელგუჯა ლობჟანიძე (კაისარი, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ლეხი, პოლონეთი).

დუდუ დადიანის თასი ქუთაისში მიდის

ხუსთავი-ქუთაისი 78:92

(17:25, 11:21, 23:21, 27:25)

დუდუ დადიანის თასი ქუთაისელებმა მოიგეს. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა კლუბმა ცნობილი ქართველი კალათბურთელის მემორიალურ ტურნირში მეორედ იმარჯვა. პირველად ეს 2011 წელს მოხდა, როცა რიონისპირელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი დაამარცხეს, ამჯერად კი, ტურნირის ყველაზე მეტჯერ გამარჯვებულ რუსთავს 14 ქულით სძლიეს და ქუთაისში დუდუ დადიანის თასით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთაველებმა ფინალამდე გამართული ყველა მატჩი ჩინებულად ჩაატარეს. ქვემოქართლელებს არ გასჭირვებიათ არც ერთ მეტოქესთან, სანამ სატიტულო მატჩში ქუთაისს არ დაუპირისპირდნენ. იმერული კლუბის სატურნირე ოდისეა კი თითქმის საპირისპირო გახლდათ. ტუღუშის გუნდმა გაჭირვებით მოიგო ჯგუფის მატჩები და რომ იტყვიან, ჯგუფიდან ჯაჯგურით გავიდა, რის შემდეგაც მეორე სუნთქვა გაეხსნა და ფლეი ოფის ორივე მატჩი – ნახევარფინალი და ფინალი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა.

იოლი ეთქმის განსაკუთრებით ფინალურ მატჩს, რომლის საწყისი პერიოდიც ქუთაისელებმა 25:17 მოიგეს, მეორე ათწუთეულში კი, ორმაგი ანგარიშით – 44:22 დაწინაურდნენ.

რიონისპირელთა წარმატება გამოცდილი და კლასით კარგად დაბალანსებულ შემადგენლობაშია. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ქუთაისელებს შეემატათ ტრავმამოშუშებული ლუკ მოიერი, რომელმაც წინა და უკანა ხაზი თავისი სისწრაფითა და განსაკუთრებით ზუსტი შორი სროლებით შეაკავშირა. აკაკი დვალიშვილზე და ილია ლონდარიძეზე უკეთ არავინ უნდა იცოდეს, თუ რა ხდება სუპერლიგის გუნდების სამწამიანში, რაც ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ამ მოთამაშეებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს ორივე ფარქვეშა ზონაში, რითაც რუსთაველებს გამარჯვების შანსი მოუსპეს.

ფინალური შეხვედრა არ დაძაბულა, თუ არ ჩავთვლით მატჩის დასრულებამდე შვიდიოდე წუთით ადრე რუსთაველთა მიერ 7 ქულამდე შემცირებულ სხვაობას, რომელიც ილია ლონდარიძისა დ აკაკი დვალიშვილის შედეგიანობით ქუთაისელთა სასარგებლოდ უმალ 10 ქულას ასცდა.

საბოლოოდ ქუთაისელებმა 92:78 მოიგეს და დადიანის თასს დამსახურებულად დაეპატრონნენ.

ქუთაისელებმა რომ გუნდურად ითამაშეს, სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს. მოედანზე გამოსული 8 კალათბურთელიდან 6 ასცდა ათქულიან ზღვარს. ბომბარდირი 21 ქულით ლონდარიძე გახდა, 17 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ, ხოლო აკაკი დვალიშვილმა თავი 15 ქულას, 13 მოხსნას, 6 პასსა და 3 დაფარებას მოუყარა. რუსთაველთაგან 23 ქულითა და 8 მოხსნით მაიკ დევისი გამოირჩა. 17 ქულა და 9 მოხსნა ჯილან ვაშინგტონმა დააგროვა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ილია ლონდარიძე დასახელდა. დუდუს ძმისშვილებმა – სანდრომ და ნიტამ დუდუს თასი ქუთაისელთა კაპიტან გიორგი ბარბაქაძეს გადასცეს.

მოამზადა მანუელ ყორყოლიანმა

ბოლო შეკრება ახალი მორაგბეებით

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შემოდგომის ტესტ-მატჩებისთვის მზადებას საფრანგეთში აგრძელებს, სადაც მათ მსოფლიო რაგბის მე-9 რეგულაციის თანახმად, 3 დღით ლეგიონერები შეუერთდნენ და დღეს მესამე ვარჯიშს გამართავენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი ამბობს, რომ შოტლანდიასთან მატჩამდე სქემების დასახვეწად სრულ შემადგენლობას სულ 5 ვარჯიში ექნება.

მაისაშვილის გაფართოებული რაზმი შოტლანდიასთან და რუსეთთან ასეთია:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ლექსო ყაულაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე, გიორგი მელიქიძე, ლუკა აზარიაშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, ლაშა ჯაიანი, გიორგი ჯავახია, ბექა გორგაძე, ბექა საღინაძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, თორნიკე ჯალაღონია, იოანე იაშაღაშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, გიორგი მარგალიტაძე, თედო აბჟანდაძე, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, თამაზ მჭედლიძე, დემე თაფლაძე, აკაკი ტაბუცაძე, სანდრო თოდუა, ზურაბ ძნელაძე, სანდრო სვანიძე, სოსო მათიაშვილი, დავით ნინიაშვილი.

მაგათმა გვარდიოლას წაკბინა

ფელიქს მაგათი წარსულში ჩინებული გერმანელი ფეხბურთელი, შემდეგ კი, მწვრთნელი იყო. სათავეში ედგა შტუტგარტს, ბაიერნს, აინტრახტს, შალკეს, ვოლფსბურგსა და პრემიერლიგის ფულემსაც კი. მაგათი წლების მანძილზე გამოირჩეოდა მკვახესიტყვაობით. ის არასდროს ერიდებოდა ფეხბურთელების და კოლეგების კრიტიკას.

გერმანულ მედიასთან ინტერვიუში 67 წლის მაგათი პეპ გვარდიოლასაც გადასწვდა:

– ბარსელონაში ტიტულებს გვარდიოლა კი არა, ლეო მესი იგებდა. მესი რომ არ ყოფილიყო, გვარდიოლას სისტემა ასეთი წარმატებული ვერასდროს იქნებოდა. თუ ვტყუვარ, ამიხსენით, რატომ ვერ მოაგებინა მან ჩემპიონთა ლიგა ბაიერნს ან მანჩესტერ სიტის? რასაკვირველია, ის მესის წყალობით იგებდა, რომელსაც არაფრიდან შეეძლო თამაშის შეცვლა... გვარდიოლას სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, თუ მეტოქეზე უფრო ტექნიკური ფეხბურთელები გყავს. მაყურებლისთვის კი ბურთის დაუსრულებელი ფლობა მოსაწყენია. ჩემი აზრით, გვარდიოლა ხშირად იმიტომ



აგებს, რომ მოგებას თამაშის დაწყებამდე ცდილობს. ის ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ტაქტიკას და ხშირად არასწორ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც მოგებაში ხელს უშლის.

სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლინიკის დირექტორს, მედიცინის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორ ლია სანოძეს მამამთილის

ბაკურ გვენცაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ქართველი მხატვარ-კერამიკოსი ქალი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი ფირმა; 4. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 5. მდინარე აშშ-ში; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. იაპონური ჭიდაობა; 13. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 14. ძველი საბუთების საცავი; 16. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 18. ქართველი კომიკოსი; 20. ქართული ლუდი.

თარაზულად: 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7 სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. სასტუმრო თბილისში; 9. აეროპორტი პარიზში; 10. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 11. კოსმოდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებლად გამოყენებული სპეციალური ჰერმეტული რეზერვუარი; 17. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 19. ესპანელი მხატვარი; 21. წითელი ფერის, შავწინწკლებიანი, მრგვალი ხოჭო; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი-წყაროს რაიონში; 23. ქართული მხატვრული ფილმის „დაკარგული სამოთხე“-ს რეჟისორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩედერი; 2. აკრი; 3. მუხამბაზი; 4. ცაიში; 5. მალხაზი; 8. ლორისი; 9. ხაბიზგინა; 12. მადონა; 14. გერანი; 16. აპოლო.

თარაზულად: 1. ჩოხატაური; 6. ბუფონადა; 7. დასლერი; 9. ხარატი; 10. ბივა; 11. მიკრობი; 13. ბიგლი; 15. მარიცა; 17. მიუსერა; 18. კოსოვო; 19. ირონია; 20. რომანსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. თრილერი; 2. ყაბალახი; 3. ზენიტი; 4. წუწკი; 5. გიორგობა; 8. შუშაბანდი; 12. ელბა; 13. ფლამინგო; 14. კრუიფი; 16. მატერია; 18. დორსე; 20. ჯუნო.

თარაზულად: 6. ერისტიკა; 7. ფრეჟიუსი; 8. შირაქი; 9. მენიუ; 10. სალონიკი; 11. არტემიდა; 15. ალმადოვარი; 17. ხანუმა; 19. ფანჯიკიძე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. ბოკერია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2172

ევრო — 3.7966

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1647

100 რუსული რუბლი — 4.1679

ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისათვის

კრიშტიანო რონალდუმ მბაპე შეაქო

პორტუგალიის და საფრანგეთის ნაკრებებს შორის შეხვედრის შემდეგ კრიშტიანო რონალდუმ კომენტარი გააკეთა და კილიან მბაპე შეაქო.

რონალდუს თქმით, მბაპე მომავალში ოქროს ბურთს მოიგებს და ის ფეხბურთის ნათელი წერტილია:

– როდესაც მბაპეს ბურთი აქვს, იცი, რომ შეიძლება რაიმე საოცარი მოხდეს, რადგან მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მინდა, რომ კილიანმა დიდხანს შეძლოს მაღალ დონეზე თამაში, რადგან მას ეს შეუძლია.

მბაპემ ასევე შეაქო კრიშტიანო და თქვა, რომ ბავშვობაში ის ხშირად ადევნებდა თვალს მის მატჩებს და უნდოდა, რომ მისი მსგავსი ყოფილიყო.

ამასობაში კრიშტიანო რონალდუს კორონავირუსი დაუდასტურდა. პორტუგალიელმა ტესტი ერთ-ერთი ვარჯიშის წინ გაიკეთა და ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა.

რონალდუს ვირუსი სიმპტომების გარეშე აქვს და, სავარაუდოდ, მას გართულებები არ ექნება, თუმცა, ბუნებრივია, მას რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

მესი: „ამჟამად მომავალზე არ ვფიქრობ“

ბარსელონას ლიდერმა და კაპიტანმა ლიონელ მესიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამჟამად მხოლოდ ფეხბურთზეა კონცენტრირებული და ჯერჯერობით არ იცის, თუ რა მოხდება სეზონის ბოლოს.

მესის თქმით, ბევრი რამ თვითონ სეზონის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული:

– ჯერჯერობით არ ვფიქრობ იმაზე, თუ რა იქნება ზაფხულში, რადგან მინდა, რომ ბარსელონას მაქსიმალურად დავეხმარო, თუმცა მომავალზე ფიქრი მაინც მომიწევს. კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობ.

რუმენიგე: „მაყურებელი ტრიბუნაზე უნდა დაბრუნდეს“

მიუნხენის ბაიერნის სპორტულმა დირექტორმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ მაყურებელი ტრიბუნაზე უნდა დაბრუნდეს და ამის გაკეთება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური კრიზისი გარდაუვალი იქნება:

– ჩვენ გვაქვს მაყურებლის ტრიბუნაზე დაბრუნების გეგმა და ეს გეგმა მთავრობასაც გავაცანით. ახლა უკვე ჯერი მათზეა. მაყურებლის გარეშე ბევრი გუნდი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდება და არ მინდა, რომ ეს მოხდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 ოქტომბრისათვის

ვერძი – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია. გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **ტყუპები** – კრიტიკული პერიოდია. საქმიანი პარტნიორის მიერ დაშვებული შეცდომა დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, გეგმები ძირფესვიანად შეგეცვალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებთან მიმართებით. **ლომი** – მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. ვერაფერს შეცვლით. **ქალწული** – ფინანსური კრიზისი უკან რჩება. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **სასწორი** – მეგობრებისა და ახლობლების რჩევები ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ. ახალი იდეების რეალიზებას დაუყოვნებლივ შეუდექით. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო ცვლილებებს გთავაზობენ. **მშვილდოსანი** – სხვების რჩევებს ნუ დაუჯერებთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. შეცდომების გამოსასწორებლად იშვიათი შანსი გეძლევათ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. იოლად ნურავის მიენდობით. პირად ცხოვრებაშიც სიფრთხილე გამოიჩინეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სამეცნიერო დაწესებულების დირექტორი თანამშრომელს ეკითხება:

– რას აკეთებდით ლაბორატორიაში სამ თანაშემწე ქალთან?

– არაფერს...

– აბა, კურდღელი რატომ გიყურებთ ასეთი მოწიწებით?

●●●

ექიმი ავადმყოფს სინჯავს და ეუბნება:

– იცით, დღეს გუშინდელზე გაცილებით უკეთ ახველებთ.

– აბა რა იქნება, წუხელ მთელი ღამე ვვარჯიშობდი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენთან სწრაფი ინტერნეტია?

– კი, ისეთი სწრაფია, რომ გადახდას ძლივს ვასწრებ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას გააკეთებს ჩვენი ხელისუფლება თუ ხვალ მთელი ჩვენი მოსახლეობა მოწევას თავს დაანებებს?

– ალკოჰოლზე აქციზს გააძვირებს...

– და თუ ხალხი სმასაც თავს დაანებებს?

– შენ რა, ჩვენ ხელისუფლებაში ეჭვი გეპარება? რა თქმა უნდა, ჯანმრთელი ცხოვრების წესზე გადასახადს შემოიღებენ...

●●●

მაღაზიის შესასვლელში:

– მოგვიტევეთ, მაგრამ თქვენ ვინაიდან უნიღბოდ ხართ, საქონელს ვერ მოგყიდით.

– აბა რა ვქნა, ნიღაბი არ მაქვს!

– შეგიძლიათ ჩვენთან შეიძინოთ ნიღაბი!

– კი მაგრამ, როგორ უნდა შევიძინო თქვენთან ნიღაბი, თუ უნიღბო მყიდველებს შიგნით არ უშვებთ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლადო ბურდული ავარიაში მოყვა

მომღერალი ლადო ბურდული ავარიაში მოყვა. ხელოვანი კახეთის გზატკეცილზე მოტოციკლეტით მოძრაობდა, რა დროსაც მანქანას შეეჯახა.

ინფორმაცია ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ ლადომ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– კახეთის გზატკეცილზე მოტოციკლეტით შევეჯახე გრუზავიკს. ის ტიპი მოტყდა. მადლობა ინგოროყვას საავადმყოფოს პერსონალს, ბაკურას და ვესპას აბეესის სისტემას.

ნინო სურგულაძე საქართველოდან წასვლას უარყოფს



ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე საქართველოდან წასვლას უარყოფს და ჟურნალისტებს სთხოვს, მის ინტერვიუებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ სათაურებს ნუ დაარქმევენ:

– სამარცხვინო სათაურებს წერენ და ადამიანები შეჰყავთ შეცდომაში! მე არასოდეს მითქვამს, რომ სამშობლოს დავტოვებ! რაც არ უნდა მოხდეს. წლებია ვმუშაობ საზღვარგარეთ და ეს ნორმაა.

იანო ალიბეგაშვილი იუბილარია

მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი იანო ალიბეგაშვილი იუბილარია. სოპრანო წლებია იტალიაში ცხოვრობს და მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში მღერის, თუმცა მისთვის განსაკუთრებული დღესასწაული სამშობლოში კონცერტის ჩატარებაა.

სწორედ ასეთი დღესასწაული მოეწყო გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში, სადაც ოპერის მომღერალმა ფესტივალში „აღდგომიდან ამაღლებამდე“ მიიღო მონაწილეობა და შეკრებილი საზოგადოება თავისი განუმეორებელი ხმითა და შესრულებით კიდევ ერთხელ მონუსხა.

იუბილარ სოპრანოს დაბადების დღე კინომცოდნემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ მიულოცა:

– დაბადების დღეს გილოცავთ, იანო! მსოფლიოში ცნობილი სოპრანო, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე იანო ალიბეგაშვილი იგივე „იანო თამარ“, რომელიც დიდი ხანია იტალიაში ცხოვრობს და ეწევა უაღრესად ნაყოფიერ და შემოქმედებით ცხოვრებას, ახლა თბილისშია.

11 ოქტომბერს გია ყანჩელის სახელობის ბაღში, როგორც პირდაპირი, ისე ფიგურალური გაგებით, შესანიშნავმა მომღერალმა თავისი ტრიუმფალური გამოსვლით შეკრებილი საზოგადოება აღაფრთოვანა.

XV საერთაშორისო ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ოპერის მომღერალი მსმენელის წინაშე წარდგა პრემიერით – ჯოაკინო როსინის კანტატით „ლა მორტე დი დიდონე“. არაჩვეულებრივ სოპრანოს ისეთი შესანიშნავი პარტნიორობა გაუწიეს პიანისტმა სალომე მოდებაძემ და თბილისის სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით, რომ იანო აღტაცებას ვეღარ მალავდა.

დღეს ჩვენი ძვირფასი სოპრანო იუბილარია. დაბადების დღეს გილოცავთ, იანო!

ელენე ახვლედიანის შთამომავლებს ყველაფერი წაართვეს



ცნობილი მხატვრის ელენე ახვლედიანის შთამომავლები ქუჩაში დატოვეს. მხატვარი ირაკლი ახვლედიანი მეუღლითა და 3 მცირეწლოვანი შვილით ყველაფრის გარეშე დარჩა.

ინფორმაცია შემოქმედთა საერთაშორისო დასის წარმომადგენელმა მაიკო მაჩაბელმა გაავრცელა:

– იქნებ მივიდეს ადრესატამდე ეს ამბავი და 3 ბავშვი ქუჩაში არ დარჩეს, როგორც დღეს არიან. მართლა ქუჩაში არიან. ყველაფერი წაართვეს.

არადა, ამ ოჯახმა სახელმწიფოს მილიონობით ქონება უსასყიდლოდ გადასცა!

ცნობილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის შთამომავალი, ასევე მხატვარი და მოქანდაკე ირაკლი ახვლედიანი, მეუღლესთან და სამ – 4, 8 და 10 წლის მცირეწლოვან შვილებთან ერთად ქუჩაში დარჩა. იგი კერძო მევახშის მსხვერპლი გახდა. არადა ელენე ახვლედიანის გარდაცვალების შემდეგ, 1975 წელს მისმა ძმამ გიორგი ახვლედიანმა და იკას მამამ დიმიტრი ახვლედიანმა ქიაჩელის ქუჩა ნომერ 12-ში ელენე ახვლედიანის კუთვნილი სახლი, უნიკალური კოლექციით და მათ შორის პაბლო პიკასოთი, ელიჩკასი და სხვა მხატვრების 3.600 ნამუშევარს რომ ითვლის, სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ სახელმწიფოს დიდი მხატვრის სახლ-მუზეუმად გადასცეს, რაც მრავალმილიონიანი ქონებაა! მათ რომ სახლში თუნდაც რამდენიმე შედევრი დაეტოვებინათ, დღეს ირაკლის ოჯახი მსგავსი პრობლემის წინაშე არ აღმოჩნდებოდა.

ეს ამბავი თიკო თვალაძისგან გავიგე და ძალიან განვიცდი.

მჯერა, ვინც ამ ამბავს შეიტყობს და გულთან მიიტანს, მხოლოდ სიყვარულით და თანადგომის სურვილით განეწყობა და ისიც მჯერა, რომ ადამიანური დამოკიდებულებები, კეთილი სურვილები, თანადგომის განცდა და სიყვარული საოცრებებს ახდენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. პლასტიკური და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. აეროპორტი ტოკიოში; 9. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 16. მოკლე, ალეგორიული მოთხრობა.

თარაზულად: 1. სახლის ზედა ნახევარსართული; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 9. ოპერა „ტოსკა“-ს კომპოზიტორი; 10. საქონლის შიგნეულისა და ჩლიქებისაგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. ვეტერინარის ძველი ქართული სახელწოდება; 13. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სიგელი რაიმე წარმატებისთვის; 18. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი საეკლესიო დღესასწაულის დროს.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა